პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
სამშაბათი
1
ივლისი
№ 153
(16279)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

ხუთწლედის ბოლინავები

მკიან ლაგოდეხელები

ლაგოდეხელი მექანიზატორები შრომობენ დევიზით: „მოსავალს დროზე აიღებ — მოიგებ, დაკარგავინებ — წაგებ!“.

რაიონში რამდენიმე დღეა დაიწყო პურის აღება. თავდადებულად შრომობენ სოფელ ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ხვედელიძე). ლელიანელებმა წლეულს 460 ჰექტარ ფართობიდან გეგმით თვითეულ ჰექტარზე 22 ცენტნერი ხორბალი უნდა მიიღონ, ფაქტიურად კი გამოსავლიანობა 30 ცენტნერს აღწევს. დღემდე გალეწილი 200 ჰექტარიდან თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერი ხორბალი მიიღეს, მთლიანად შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორბლის მიყიდვის გეგმა-ვალდებულება. ჩაბარებულია 201 ტონა მარცვალი.

შრომაში დაწინაურდნენ კომბაინერები პ. მოლებაძე, გ. ჭუმბურიძე, ბ. და ვ. კაპანაძეები, მეშტურვალეები ს. ყიოშიძე, ტ. კაპანაძე და სხვები, რომლებიც ყოველდღიურად 30-33 ჰექტარ ყანას მკიან.

კოლმეურნეობაში პარალელურად მიმდინარეობს ნაწვერალზე ხვნა-თესვა, იწყებება ნამჯა. ტრაქტორისტები ზ. ჭუმბურიძე, ვ. ერმანიშვილი, ო. გაბრიელიძე, კ. კაპანაძე და სხვები ყოველდღიურად 8 ჰექტარს ხნავენ. ხოლო მთესველები ნ. ჭუმბურიძე და დ. ბოცვაძე დღეში 15 ჰექტარ ხიმინდს თესავენ.

ეს კოლმეურნეობა ეჯიბრება სოფელ აფენის კოლმეურნეობა „საქართველოს“ (თავმჯდომარე ა. ჭინჭველაშვილი), რომელმაც დღეისათვის სახელმწიფოს უკვე მიჰყიდა 237 ტონა ხორბალი. მალე ისინი სახელმწიფოს კიდევ 200 ტონა ხორბალს მიჰყიდიან.

ამ კოლმეურნეობაში მუყაითი შრომით განსაკუთრებით გამოირჩევიან ტუაში დები ქეთევან და თინათინ მაჭარაშვილები, რომლებიც ველისციხის პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თავიანთი სურვილით მივიდნენ კოლმეურნეობაში სამუშაოდ და ტრაქტორის საჭეს მიუსხდნენ. კოლმეურნეობამ 2 ახალი „დეცი-75“ მარკის ტრაქტორი შეიძინა მათთვის. წლეულს დებმა მაჭარაშვილებმა 300 ჰექტარი ნიადაგი მოხნეს, მოამზადეს ნაწვერალზე დასათესად. ამიტომ იყო, რომ ქეთევანი მექანიზატორთა ბრიგადის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს.



სურათებზე: დები მექანიზატორები ქეთევან და თინათინ მაჭარაშვილები; (ქვემოთ) — მოსავლის აღება ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში.

ბ. გოგოხიას ფოტო და ტექსტი.

ჩვენი პრესის თანაშეძღენი

ვოროშილოვგრადის ოლქის ქალაქ კრასნი ლუჩის მანქანათსამშენებლო ქარხნის მუშამ ნ. ელშინმა ადგილობრივი გაზეთის „ზნამია კომუნიზმას“ რედაქციაში მიიტანა ინფორმაცია თანამშრომელი ამხანაგების შესახებ. რედაქციაში დაინტერესდნენ ავტორით, შესთავაზეს ხელი მოეკიდა უფრო რთული თემისათვის. თანდათანობით მისგან ჩამოყალიბდა აქტიური მუშა კორესპონდენტი. საგულისხმოა მუშკორის სიტყვები „პრავდისათვის“ მიწერილი წერილდან: „ყოველთვის, როცა კარგ ადამიანზე წერ, თვითონაც გინდა არ უმტყუნო მას. და ეი გამოდის, რომ მე ვეხმარები ჩემს გმირებს, ისინი კი მე“.

საბჭოთა პრესაში თანამშრომლობას სხვადასხვა გზით იწყებენ მისი ნებაყოფლობითი თანაშემწენი — მუშა და სოფლის კორესპონდენტები. ესენი არიან წარმოების მოწინავენი, კომუნისტური შრომის დამკვრელები, პატრიოტულ წამოწყებათა ინიციატორები, ხაზოგადოებრივი ალღოს მქონე ადამიანები. მათ სრულიად სამართლიანად ეხება ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, რომლებიც წარმოთქვა მან დედაქალაქის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე: „დღეს ჩვენი მუშა. საბჭოთა კოლმეურნე, საბჭოთა ინტელიგენტი — ეს არის ადამიანი, რომელიც არა მარტო შეგნებულად და ინიციატივიანად ეკიდება თავის შრომას, არამედ, აგრეთვე, როგორც წესი, ცხოვრობს უფრო ფართო ინტერესებით — თავისი საწარმოს, რაიონის, ოლქის, რესპუბლიკის, მთელი თავისი სამშობლოს ინტერესებით“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დიდად აფასებს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობის როლს. იგი მიაჩნია მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის, საზოგადოების საქმეთა მართვაში მათი უშუალო მონაწილეობის გამოვლინების ერთ-ერთ ქმედით ფორმად. მუშა და სოფლის კორესპონდენტთა წარმომადგენლობითს შეკრებებსა და ყრილობებზე, რომლებიც უკანასკნელ ხანს გაიმართა ლენინგრადში, სვერდლოვსკში, ერევანში, ტალინში, დონეცკში, ნიკოლაევსა და სხვა ქალაქებში, ლაპარაკი იყო იმაზე, როგორ გადავწყვიტოთ უფრო წარმატებით თანამედროვე პირობებში ამ მოძრაობის დიდი ამოცანები.

XXIV ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ფართო ჩვენება, სოციალისტური შეჯიბრების განვითარება, ხუთწლედის მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა, მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკა — ასეთია პრესის აქტივისტთა მოქმედების ასპარეზი, მათი შინაარსიანი გამოსვლების თემების წყარო.

საზოგადოებრივი საწყისები სულ უფრო ვითარდება ჩვენი პრესის საქმიანობაში. კარგი სახელი მოიხვეჭა სახალხო მეურნეობის რეზერვების დათვალიერებებმა, რომლებიც მუშსოფლკორებმა მოაწყეს, მათმა რედაქციებმა და საგუშაგოებმა წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. მარტო ბელორუსიაში საწარმოთა ტექნიკური განახლების მარშრუტებით ასეთ რიდებში მონაწილეობდა 40 ათასზე მეტი კაცი. ბევრ რედაქციაში ნაყოფიერად მოქმედებენ ნოვატორთა და სპეციალისტთა საბჭოები, თემატური გვერდების შტატგარეშე განყოფილებები და რედკოლეგიები, საზოგადოებრივი მასალები ოთახები. მათი შემადგენლობები იქმნება აქტორიტეტიანი ადამიანებისაგან, რომლებიც გამოირჩევიან პრინციპულობით, შემოქმედებითი მგზნებარებით. ასეთი აქტივისტების შერჩევა და მათი ყურნალისტობაში გაწაფვა ადვილი საქმე როდია, მაგრამ, როგორც წესი სასიხარულო შედეგებს იძლევა. გაზეთები, რომლებსაც შტატგარეშე გაერთიანებათა ქსელი აქვთ, უკეთ არიან ინფორმირებული რაიონის, ოლქის, მხარის ამბებისა და მათი ეკონომიკისა და კულტურის განვითარების პერსპექტივების შესახებ და უფრო ოპერატიულად აშუქებენ ადგილობრივი ცხოვრების საკითხებს.

აქტივზე მუდმივი დაყრდნობა განსაკუთრებით საჭიროა მრავალტირაჟიან პრესაში. ფაბრიკა-ქარხნების გაზეთებში, როგორც ცნობილია, იქმნება საზოგადოებრივი რედკოლეგიები. სამწუხაროდ, ზოგიერთი პარტიული კომიტეტი მათ უფრო „წარმომადგენლობათვის“ ქმნის, ვიდრე საქმიანი მუშაობისათვის. ასეთი ნაკლოვანებები აღინიშნა შავი მეტალურგიის. მძიმე მანქანათმშენებლობის, საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქტორთა სემინარებზე. ისიც ხდება ხოლმე, რომ ენოუნიასტებს, რომლებიც რედკოლეგიათა წევრების მოვალეობებს ასრულებენ, რაც დიდ ძალლონის დახარჯვას მოითხოვს, კიდევ უამრავ დამატებითს დავალებას აძლევენ. დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ სარედაქციო კოლეგიებისა და პრესის სხვა საზოგადოებრივი ორგანოების შექმნას.

გაზეთების პარტიული კომიტეტებისა და რედაქციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა განავითაროს პრინციპული კრიტიკა, ნაკადრისი პასუხი გასცენ მისი ჩახშობის ან უგულებელყოფის ყოველგვარ ცდებს. ასეთი ცდები კი არის ხოლმე. ზოგან მუშსოფლკორებს. რომლებიც საკანგაზო სიგნალებს იძლევიან პრესაში. კიდევაც უსაყვედურებენ. „კოლექტივის ღირსებას არ უფრთხილდებითო“. ამას წინათ „პრავდა“ იუწყებოდა აღმაშფოთებელ ფაქტს. როცა იაროსლავლის ოლქის ერთ-ერთი სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა მოსთხოვეს მუშა კორესპონდენტს შეეწყვიტა წერა გაზეთში. იგი „არ დაემორჩილა“ და ჩამოაქვეითეს თანამდებობიდან. სკკპ იაროსლავლის საოლქო კომიტეტის ბიურომ სასტიკი პარტიული სასჯელი დაადო კრიტიკის ჩამხშობთ, მუშა კორესპონდენტი კი აღადგინეს ძველ ადგილზე.

ყოველი კრიტიკული გამოსვლის გამო უნდა მივიდეწიოთ დასაბუთებულ და ეფექტიან ღონისძიებათა მიღებას. მხოლოდ ეს ქმნის კრიტიკის განვითარების პირობებს. რომლის აუცილებლობა და მნიშვნელობა ახალი ძალით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ტამბოვის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის მდგომარეობის შესახებ“. პროპაგანდას უწევს რა მოწინავე გამოცდილებას, ნათქვამია ამ დადგენილებაში, პრესა უფრო ღრმად უნდა ავლენდეს მუშაობის ნაკლოვანებებს ანალიზებდეს მათს მიზეზებს. უფრო აქტიურად აბამდეს აქტუალური საკითხების განხილვაში მუშა და სოფლის კორესპონდენტებს. უფრო მწვავედ რეაგირებდეს ცალკეულ მუშაკთა მიერ ფორმალური პასუხის გაცემისა და გაზეთების გამოსვლებისადმი უგულებელმყოფელი დამოკიდებულების ფაქტებზე.

საბჭოთა პრესის აქტივისტთა რიგები ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება. ეს ავალებს პარტიულ კომიტეტებს, ჟურნალისტთა კოლექტივებს განავითარონ და სრულყონ რედაქციათა მასობრივი მუშაობა. სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის ორგანიზაციებთან ერთად ისინი დღენიადაგ უნდა ზრუნავდნენ მუშსოფლკორთა უნივერსიტეტებში, აქტივისტთა სკოლებში ცოდნის ხარისხის ამაღლებისათვის, აუმჯობესებდნენ თემატური სემინარების. შემოქმედებითი შეხვედრების ორგანიზაციას. შტატგარეშე ავტორებისადმი გამოცდილი ჟურნალისტების ინდივიდუალურ დახმარებას.

მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობა ჭაფიოდ გამოხატავს საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების დემოკრატიზმს, ადასტურებს ჩვენი პრესის ნამდვილად ხალხურ ხასიათს. პრესის აქტივისტთა მრავალმილიონიანი არმიის პატრიოტული ვალია თავიანთ შრომითს პოსტებზე თავდადებული მუშაობით. გაზეთებში, ტელევიზიით და რადიოთი საჭირბოროტო გამოსვლებით დაეხმაროს პარტიულ ორგანიზაციებს. საწარმოო კოლექტივებს მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის, სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ბრძოლაში.

XXV

სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად

ჭიათურელთა ნოგათი

ჭიათურა. დამკვრელური შრომით აღვნიშნოთ სკკპ XXV ყრილობამდე დარჩენილი დღეები, — ამ დღეებით შრომობენ აქაური მშრომელები და წარმატებებს აღწევენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. წლის იქვსი თვის პროგრამა დაძლეულია ადამდე — 23 ივნისისათვის, ქალაქის მრეწველობამ თვის ბოლომდე ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 2.525 ათასი მანეთის პროდუქცია და მოახდინა 2.326 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

გეგმების შესრულებაში თავი გამოიჩინეს მარგანეცის ტრესტის ახალი ითხვისის, სტალინისა და კალინინის სახელობის მაღაროთა სამმართველოების, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის, სამკერვალო ფაბრიკის, პურკომბინატის კოლექტივებმა.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვაშაძემ და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. გოგატიშვილმა.

მათ ხუთწლედი შეასრულეს

ბაუმანი. (საკ. კორ. მ. გორგილაძე). ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის გეგმების ვადამდე და ადადგარებით შესრულებისათვის, თვალსაჩინო წარმატება მიიპოვა. ვადამდე დიდი გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ხუთწლიანი გეგმა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ქარხანამ ათეულობით ახალი სახის პრეპარატის წარმოება აითვისა და დაიწყო მათი ხელიელი გამოშვება. საწარმო წარმატებებს აღწევდა არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა რეკონსტრუქციისა და გაფართოების გზით.

საამქროებში დამონტაჟდა ახალი ავტომატური ხაზები, მათ შორის ალოეს პრეპარატების ჩამოსხმისა და დახუფვისა, რითაც ავიზარდა შრომის ნაყოფიერება, ამაღლდა წარმოების კულტურა, გაუმჯობესდა ამ პრეპარატის ხარისხი.

საერთო წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანეს ქარხნის რაციონალიზატორებმა, მათ დაეგეგმიოთ 177 ათასი მანეთის ნაცვლად 326 ათასი მანეთის საერთო ეფექტურობის ტექნიკური გაუმჯობესება დანერგეს.

ქიმიკოსებს გადაწყვეტილი აქვთ 12 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებაში, რაც აპარის საწარმოებმა იკისრეს, თავიანთი წვლილი შეიტანონ და წლეულს გეგმის ვადამეტებით 186 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვან.

ივლისის ანგარიშში

თბილისი. ყველა მაჩვენებლით გაანადგა ნახევარი წლის დავალება თბილისის № 3 წისქვილქარხნის კოლექტივმა, რეალიზებულია 10 მილიონი მანეთის პროდუქცია, გამოშვებულია 51,8 ათასი ტონა [illegible] ხოვანი ფქვილი.

თვის ბოლომდე დარჩენილი დღეები დამგვრელურია. მეწისქვილეებმა ვალდებულება იკისრეს ამ თვეში დამატებით დამზადონ 2,5 ათასი ტონა ფქვილი და მოახდინონ 420 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

ეს რედაქციას აცნობა ქარხნის დირექტორმა რ. ტაბიძემ.

ექვსი თვის გეგმა — გადამეტებით

თელავი. (საკ. კორ. ა. თვალიაშვილი). სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი გ. ორთოიძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. მუმლაური) კოლექტივმა [illegible] თვის გეგმა 10 ივნისისათვის 105 პროცენტით შეასრულა, ხოლო რეალიზაციისა 103 პროცენტით. 1.737 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 1.823 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 59 ათასი მანეთის პროდუქცია.

დიდი ალოგის დღეებში

გაზეთი „კომუნისტის“ გამსვლელი რედაქცია ფოთელწყაროს, სილნაღის, საგარეჯოსა და ლაგოდეხის რაიონებზი

დაიწყო მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ალოგობის მეშვიდე თვე — ივნისი. მაგრამ ჯერ კიდევ ივნისის მეორე ნახევრიდან გაიჭრა თავთავიანი მარცვლეული კულტურების ყანები. ამ სამუშაოს პირველი შეუდგნენ პურის ბელღლის — ფოთელწყაროსა და სილნაღის რაიონების მხვნელ-მთესველები. მათ შორან დიდ წარმატებას მიაღწიეს — საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლეულის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა-ვალდებულებანი.

პურეულის მკას შეუდგნენ საგარეჯოსა და ლაგოდეხის რაიონებშიც.

როგორც შარშან, ისე წლეულს ამ რაიონების მშრომელებს მოსავლის დროულად, უდანაკარგოდ აღებაში, პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში ხელს უწყობს „კომუნისტის“ გამსვლელი რედაქცია. 29 ივნისს გამოვიდა პირველი ნომერი — ვაზეთ „კომუნისტის“ მეოთხედი ფორმატით. მისი მიზანია აღნიშნული რაიონების პარტიულ. საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს ქმედითი დაიხმარება გაიწიოს **პურეულის მოსავლის თორმეტ სამუშაო დღეში უდანაკარგოდ აღება-დაბინავებაში.**

გაზეთის პირველი გვერდი მხვნელ-მთესველებს, მექანიზატორებს, ავტოტრანსპორტის მუშაკებს, ყველა მშრომელს მოუწოდებს: **ხუთწლედს დამკვრელური შრომა!** პირველ სვეტზე ვკითხულობთ: **120 — დავიმახსოვროთ ეს ციფრი, გულის ფიცარზე გვიწეროს ყველას!** ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული რაიონების მემანდარეებმა, საკვებმომპოვებლებმა ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით 120 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებაში სპატიო წვლილი შეიტანონ. აქვე, სურათის ფონზე დაბეჭდილია ციფრები მოსავლის აღებისა და დამზადების შესახებ (29 ივნისისათვის).

შიდა ორ გვერდზე ანშლაგები გვაუწყებს: „მოსავალი ისარის, რაც ბელელშია!“ „მთელი მოსავალი ავიღოთ მინდვრებიდან, მდელოებიდან და სათიბად გამოსადეგი გზისპირა ნაკვეთებზე!“.

მეორე გვერდი იხსნება ლ. ი. ბრეჟნევის მითითებით, „რომ ყოველი ჰექტარის მოსავლიანობის ამაღლება მარცვლეულის უხვ, საერთო მოსავალს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ზრდას, და მაშასადამე, ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებასაც ნიშნავს“.

გაზეთში მკითხველები გაეცნობიან პარტიის წითელწყაროს რაიკომის მეორე მდივნის გ. დავითაშვილის, აგრეთვე მ. ფიროსმანაშვილის, თ. თავბერიძის და სხვათა წერილებს, რომლებშიც მოთხრობილია მოსავლის აღების მიმდინარეობაზე. მკითხველი აქვე გაეცნობა უხეში საკვების დაგროვების მიმდინარეობის წითელწყაროს, სილნაღის, საგარეჯოსა და ლაგოდეხის რაიონებში. მეოთხე გვერდზე, რომლის ანშლაგია „შრომას, გარჯას, გაუმარჯოს!“, დაბეჭდილია ამ რაიონების ცხოვრების საინტერესო ინფორმაციები, გაზეთი ილუსტრირებულია.

„კომუნისტის“ გამსვლელი რედაქცია მუშაობას გახაგრძობს.

ხუთწლედის ნაბიჯები

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა შესრულებისათვის. მიაღწიეს ახალ შრომითს წარმატებებს. როგორც ცუბაკეთის, ყაზახეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, მოლდავეთის, ლატვიისა და ტაჯიკეთის სს რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები იუწყებიან, ამ რესპუბლიკების მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციისა და მეტი წილი უმნიშვნელოვანესი სახეობის ნაწარმის გამოშვების წლის პირველი ნახევრის გეგმა.

„სალუტ-4“; სამეცნიერო ექსპერიმენტები

ფრუნზე მართვის ცენტრი, 30 ივნისი. (საკკორ.). პეტრე კლიმუკისა და ვიტალი სევასტიანოვის სამუშაო დღე „სალუტ-4“ ორბიტულ სამეცნიერო სადგურში 29 ივნისს მიეძღვნა სამეცნიერო ექსპერიმენტებს, მოეწყო ფუნქციური კვლევა ვალერგომეტრზე ფიზიკური ფიზიკური დატვირთვითა და ვაკუუმური კოსტიუმების გამოყენებით. ამასთან კოსმონავტებს უღებდნენ ელექტროკარდიოგრამას. იკვლევდნენ თავის ტვინის ძარღვების ხისხლით მომარაგებას. ხანგრძლივი უწონობის პირობებში ვესტიბულარული აპარატის ფუნქციური მდგომარეობის შესწავლის მიზნით ეწყობოდა კომპლექსური კვლევა მბრუნავი სავარძლის გამოყენებით.

ხალუნი დღის მსვლელობაში კოსმონავტებმა აიღეს სისხლი და მოახდინეს მისი კონსერვაცია დედამიწაზე შემდგომი შესწავლისათვის.

30 ივნისს სადგურში დასვენების დღე იყო. კოსმონავტებმა მოაწესრიგეს მუშაობის წინა დღეების კვლევის შედეგები, დალაგეს ნაკვეთურები. დაისვენეს.

ამხანაგები კლიმუკი და სევასტიანოვი ჯანმრთელად არიან. ხაბორტო სისტემები ნორმალურად მოქმედებს. „სალუტ-4“ ორბიტული სამეცნიერო სადგური ფრენა გრძელდება.

ამერიკის შეერთებული შტატების სენატორები მოსკოვში

ამერიკის შეერთებული შტატების სენატის დელეგაციამ სენატორების ჰუბერტ ჰემფრისა და ჯიუ სკოტის მეთაურობით 30 ივნისს გვირგვინით შეიმკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის კედელთან.

ამერიკელმა სენატორებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი საბჭოთა მეომრების ხსოვნას, რომლებმაც თავი გასწირეს ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ, კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

იმავე დღეს დელეგაცია ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეებს ე. პ. რუბენსა და ა. პ. შიტიკოვს.

(საკდესი).

ვადამდე

რუსეთის სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

რუსეთის ფედერაციის მრეწველობის მუშაკებმა 27 ივნისს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის საერთო მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლის პირველი ნახევრის გეგმა.

ევროპის ასტრონომთა კონფერენცია

1 ივლისს თბილისში გაიმართება საბჭოთა კავშირისა და ევროპის 18 ქვეყნის ასტრონომთა კონფერენციაა. ისინი დაკვირვების სპეციალიტეტ განიხილავენ ვარსკვლავებისა და გალაქტიკებისადმი მიძღვნილ თანამედროვე ასტრონომიის აქტუალურ პრობლემებს.

ჩვენ ეროვნულ ბიბლიოთეკაში

სიმინდის, კარტოფილისა და სხვა სათოხნი კულტურების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე

28 — 29 ივნისი

დავაჩქაროთ ნათესების დამუშავება

რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების მონაწილეობით მარნეულის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ორგანიზებულად ჩატარდა დათვალიერების დღეები, სათოხნი კულტურების — კარტოფილის, სიმინდის, თამბაქოს, ბოსტნეულ-ბაღჩეულის მოვლა-დამუშავებას მუყაითი შრომა და ყურადღება ეტყობა.

მოწონება ხვდა წელად მარნეულის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ო. მანაგაძე) კარტოფილის ნათესებს. აქ მცენარისათვის არ მოუკლიათ მზრუნველი ხელი — გაალღვის დროს დროზე მოურწყავთ, თოხნა-კულტივაცია აგროწესით ჩატარებიათ, სასუქი სათანადო დოზით შეუტანათ. სწორედ ამის შედეგია, რომ საადრეო კარტოფილს სამუშაოდ ჰექტარზე 160 ცენტნერს იღებენ ნაცვლად 100 ცენტნერისა.

კარგად დაუმუშავებიათ ბოსტნეული კულტურები. გეგმით გათვალისწინებული 1.000 ტონიდან სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 700 ტონა. ახლა გეგმის ვადამეტებით ათასი ტონის მიყიდვისათვის იბრძვიან.

ჩინებულად არის მოვლილი თამბაქო და ბაღჩეული.

რაიონში მარტო საადრეო კარტოფილს 256 ჰექტარი უჭირავს. მოსავალი უხვია. ამჟამად ყველგან მასობრივად მიმდინარეობს მისი აღება. დანიშნულებისამებრ უკვე გაიგზავნა 120 ტონაზე მეტი კარტოფილი. ასევე ჩინებულად არის მოვლილი 3.000 ჰექტარი სიმინდი, 1.449 ჰექტარი თამბაქო, 1.600 ჰექტარი ბოსტნეული და 269 ჰექტარი ბაღჩეული.

მაგრამ დათვალიერებამ ისიც გამოავლინა, რომ მუდანლოს საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ა. ბერუჩაშვილი) სათოხნი კულტურები დროზე არ იარეწვიდა. ამის გამო ნათესებს უჭირს. ასევე შეიძლება ითქვას 25 კომისრის საბჭოთა მეურნეობის შესახებაც. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, რაისაბჭოს აღმასკომმა აღნიშნულ ნაკლოვანებათა უსწრაფესად გამოსწორების მიზნით დათვალიერების დღესვე მოიწვიეს თათბირი და დასახეს სათანადო ღონისძიებები.

შ. ჭოჭუა.

პირუტყვს — ყუათიანი საკვები

თეთრი წყაროს. („კომუნისტის“ კორ.). პირუტყვისათვის საჭირო საკვები რომ ჰქონდეთ, ამისათვის საჭიროა გეგმით მოიმარაგონ სულ მცირე 39.800 ტონა უხეში საკვები, მაგრამ ამას როდი სჯერდებიან. რაიონში შესაძლებლობაა დაამზადონ უფრო მეტი. ამიტომაც გადაწყვეტეს გეგმის გადამეტებით მოიმარაგონ 10.200 ტონა საკვები. ასევე გეგმაზე მეტ სენაჟის, სილოსისა და სხვა საკვების დამზადებისათვის იბრძვიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკვებმომპოვებლები.

რაიონში ძალღონეს არ იშურებენ პირობის შესასრულებლად. დაწინაურებულთა შორის არიან თეთრი წყაროს მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის საკვებმომპოვებლები. აქ წლეულს 12 ათას ტონაზე მეტ მარტო უხეშ საკვებს დაამზადებენ. ეს დავალება უკვე შესრულებულია 35 პროცენტით. სწორადაა და ხარისხიანად მიმდინარეობა სენაჟისა და სილოსის ზადება. 4.500 ტონა სენაჟის დამზადებას დავალებას ამ დღეებში შეასრულებენ.

პირუტყვისათვის საკვების მომარაგების საქმეში წინ მიდიან ჯორჯიაშვილის, მანგლისის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობები, სადაც ყოველდღე რონობიან სენაჟს, სილოსს ამზადებენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1975 წლის 27 ივნისს 65 წლის ასაკში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის მინისტრი ალექსანდრე მიხეილის-ძე ტარასოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი	სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

კამათი მოხსენებისა და თანამოხსენების გამო — „საქართველოს სსრ საბალხო განათლების კანონის პროექტის შესახებ“

დეპუტატ ნ. ვ. ვალიშვილის

სიტყვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა გასწია. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის. მოპოვებული წარმატებები იმის საწინდარია, რომ საქართველოს სსრ, ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტები ახალ-ახალი გამარჯვებებით უპასუხებენ სკკპ XXV ყრილობას.

მოხსენებაში და თანამოხსენებაში მეტად ვრცლად და სერიოზულად იყო განხილული სახალხო განათლების პრობლემები. დიდი ნაბრძოლები მოვიპოვეთ ამ დარგში და ამას მოწმობს სწორედ ის, რომ დღეს ჩვენ სახალხო განათლების კანონმდებლობას ვამტკიცებთ.

შეევლები ზოგიერთ პრობლემას, რომელიც დღეს გადასაწყვეტია უმაღლეს სკოლაში. ცხოვრება წინ მიდის და ის, რაც გუშინ გვაკმაყოფილებდა, დღეს უკვე საკმარისი არ არის, მეტი გვჭირდება. ამიტომ შემდგომი წინსვლისათვის უფრო დიდი შრომა გვჭირდება.

ყველაზე დიდი ამოცანა, რომელიც დღეს უმაღლესი სკოლის წინაშე დგას, ის არის ხარისხის ამოცანა. ამ მხრივ ჩვენ ყველაფერი როდი გვაქვს ნიგზე, რასაც ხაზი გაუსვა მომხსენებელმაც.

საქმე ის არის, რომ სტუდენტების 70 პროცენტზე მეტი საბოსნები არიან. სამოსნისაგან კი სუსტი ინჟინერი დადგება. დღეს ჩვენ ვამბობთ, რომ მეცხრე ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედია და განა შეიძლება სამოსაბმა ინჟინერმა უზრუნველყოს ამ ამოცანის გადაჭრა?! ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ სამოსნების რიცხვი უმაღლეს სასწავლებლებში მინიმუმამდე დავიყვანოთ. ეს არის ყველაზე რთული ამოცანა და ამ მიმართულებით უკვე ვმუშაობთ.

ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი წელიწადნახევრის წინათ დაარსდა. გასულ პერიოდში გაწეულმა მუშაობამ დაგვანახვა, რომ დადგენილება ინსტიტუტის დაარსების შესახებ დროული და მეტად სწორი იყო.

ჩვენს ინსტიტუტში ჩარიცხულთა შორის მუშები და მუშის შვილები დიდ პროცენტს შეადგენენ.

მარტო ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ ინსტიტუტში სასწავლებლად 85 ახალგაზრდა გამოგზავნა, რაც არსებული კონტინგენტის 10 პროცენტზე მეტია. ჩვენთან მისწავლეებელთა კადრების ადგილზე იმის საშუალება არა აქვთ, რომ ყველფიციური ამაღლონ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ ამ მხრივ უკვე გადადგა ნაბიჯები. კერძოდ, ქუთაისში შემოდგომაზე მოეწყობა სამეცნიერო კონფერენცია. გიიხსნა ლაბორატორიები. საჭიროა ქუთაისში ჩამოვიდნენ რესპუბლიკის ამოჩენილი მეცნიერები, ლექტორები და ადგილზე ხელმძღვანელონ სამეცნიერო შეშაობას და მაღალკვალიფიციური ბედგოგების კადრების აღზრდას.

დაოსრულებელ [illegible] ახლანდელი თორმეტი მოძველდა, აუცილებლად საჭიროა ამ სწავლების ახალი, უფრო პროგრესული ფორმების ამონახვა და დანერგვა, ეს მნიშვნელოვნად აამაღლებს სწავლებისა და ახალი კადრების მომზადების ხარისხს.

საქართველოში დიდი მუშაობა გატარდა მისაღები ამოცდების ინსტიტუტის სრულყოფისათვის. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. არის ტენდენცია, რომ ზერეთი გამოცდები ზეპირით ჩაბარდეს. ამ აზრთ, ზერეთი გამოცდები უკეთესია. როცა არსებობს ზერეთი ნამოშეკარი, შიძლება მიმღები კომისიის მუშაობა ამოიდების ჰერიოდშიც შევამოწმოთ და მის შემდეგაც.

კანონი, რომელსაც ჩვენ სესიაზე მიეღებთ, მთელი ჩვენი საზოგადოების მრავალი წლის მუშაობის შედეგია. იგი ხელს შეუწყობს სახალხო განათლების წინსვლის საქმეს.

დეპუტატ ლ. მ. მარშანიას

სიტყვა

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა წარმოებს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის. შეგხვებული, განათლებული ადამიანების მომზადებისათვის, რომლებსაც თავიანთი იდეური და მორალური თვისებებით, ენციკლოპედიური და პროფესიული ცოდნის დონით უნარი შესწევთ წარმატებით იმოქმედონ, შეასრულონ კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანები სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარებისათვის. აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, განხორციელდა საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლება, იქმნება ყველა პირობა იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ ადამიანთა საყოველთაო საშუალო განათლებაზე, რაც ჩვენი საზოგადოების შემდგომი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების, სოციალისტური შეგხებისა და მშრომელთა კულტურის ამაღლების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება.

დიდმა მიზანდასახულმა მუშაობამ, რომელსაც ბოლო წლებში საქართველოს პარტიული ორგანიზაცია ახორციელებს სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, შესრულების კონტროლისა და შემოწმების მთელი სისტემის ფართო გაუმჯობესებისათვის, მავნე ტრადიციებისა და ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების აღმოფხვრისათვის, ეკონომიკაყოფიერი გავლენა მოახდინა სახალხო განათლების ორგანოების საქმიანობას აუმჯობესებაზე, და ამ მოთხოვნათა შესაბამისად მათ მიერ განხორციელებულმა გარდაქმნამ დადებითი გავლენა იქონია სასწავლო-აღმზრდელობითს ღონისძიებებზე.

მარტო უკანასკნელი 4 წლის მანძილზე სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე რესპუბლიკაში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა — 8.242 მოსწავლისა და 370 ბავშვისათვის გათვალისწინებული განათლების ობიექტები. ამ ხნის მანძილზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებით აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 1.922 მოსწავლისათვის გათვალისწინებული სასკოლო შენობები. სწავლის კაბინეტურ სისტემაზე გადაყვანილია რესპუბლიკის 35 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. კიდევ ერთ საუკეთესო სკოლის ქსელი.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, ამაღლდა მოსწავლეთა აკადემიური წარმატება, დისციპლინა. ღრმა, ბუნიკეკ ეახდა მათი ცოდნა. შემცირდა მეორეწლიანთა რიცხვი.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ყველა რეზერვი როდი გვაქვს გამოყენებული. ამის მიზეზია ნაკლოვანებები, რომელიც ჯერ კიდევ არის სასწავლო-აღმზრდელობითს პროცესში, სკოლებსა და სკოლამდელი დაწესებულებებს, განსაკუთრებით სოფლად, სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნასა და განმტკიცებაში.

ამასთანავე მეცხრე ხუთწლედის გასული ოთხი წლის მანძილზე სასკოლო მშენებლობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებებიდან ათვისებულია მხოლოდ 75 პროცენტი, ხოლო სასწავლო ადგილების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა — შესრულებულია 81 პროცენტით.

სასკოლო ნაგებობა არც წლიურ წარმოებს დამაკმაყოფილებლად. მაგალითად, კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების წლიურმა გეგმამ 5 თვის მანძილზე 21 პროცენტი შეადგინა.

ჩვენ ამოცანად დავისახეთ განსაკუთრებული ყურადღება მიგიქცოთ სოფლის სკოლის, რადგან, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება და თანამედროვე ინდუსტრიული ბაზაზე მისი გადაყვანა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქვალიფიციური კადრებით სასოფლო-სამეურნეო წარმოებას უზრუნველყოფაზე. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ სოფლის პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმაც.

მე მთლიანად და სავსებით ვიზიარებ სახალხო განათლების კანონის წარმოდგენილ პროექტს.

დეპუტატ ი. ა. ჯაფის

სიტყვა

საგარეთა სკოლა, სახალხო განათლების საბჭოთა სისტემა ეფექტურად უდიდეს როლს ასრულებს ახალგაზრდობის სწავლასა და აღზრდაში, ყველაფერი ეფექტურ ინტერესებს ეფუძნება. ამ დოკუმენტის თავისებურება ის არის, რომ იგი ხაზს უსვამს განათლების დარგში საბჭოთა ხალხის, ჩვენი სახელმწიფოს რეალურ მიღწევებს. მასში აღნიშნულია, რომ საჭიროა კანონით განვამტკიცოთ საბჭოთა სკოლის ცხოვრების პრაგმატიზმან ერსებული ყოვლიერი საუკეთესო, მოცემულია საბჭოთა ხალხის განათლებისა და კულტურის შემდგომი ზრდის შესახებ პარტიის დავალებათა რეალიზაციის მწყობრი, მოფიქრებული გეგმა.

სახალხო განათლების კანონ-პროექტი დიდი ინტერესით განიხილეს საწარმოო კოლექტივებში, სასწავლებლებში, მუდმივი კომისიების სხდომებზე, სახალხო განათლების განყოფილებებში. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ საბჭოთა სკოლის ბედი, მისი ცხოვრება, მისი საქმიანი საყოველთაოა-სახალხო ინტერესების ნაწილია ჯახდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამხრეთ ოსეთი პრიმიტიული სოფლის მეურნეობისა და კუსტარული მრეწველობის მხარიდან ისეთ ავტონომიურ ოლქად გადაქცა. რომელსაც აქვს განვითარებული თანამედროვე მრეწველობა, მრავალდარგოვანი მეურნეობა, მრავალფეროვანი ინტენსიური ბაღი, ლამაზი — არ არის მარტო გარეგნულად ლამაზი. მცენარე „ლამაზს“ ხალხი აღიქვამს ამავე დროს, როგორც კარგს, სამართლიანს, კეთილს. დიდია ხელოვნების როლი კომუნისტური საზოგადოების მშენებლის — ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში. ბავშვს პატარაობიდანვე უნდა შთავუნერგოთ და განვუვითაროთ ოჯახსა და სკოლაში ორგანული მსოფლგრძნობა სილამაზისადმი, მშვენიერებისადმი.

ჩვენ ცოტას ვკითხეთ იმისათვის, რომ ბავშვებს სილამაზისადმი სწრაფვა გავუღვიეთო, ხელოვნებით ტკბობის ბედნიერება ვასწავლოთ. ამ მხრივ ხარვეზები ჯერ კიდევ საბავშვო ბაღშია შესამჩნევი. ხატვის, სიმღერის, ცეკვის სწავლება იქ შემთხვევითი ხასიათისაა.

სკოლაში ესთეტიკური საგნების სწავლება ძალიან დაბალ დონეზე დგას. საოცარია, რომ საქართველოში, რომელიც ოდითგანვე პოეზიის ქვეყნად იყო აღიარებული, სასწავლო პროგრამებში ბევრი მდარე ხარისხის ლექსია შეტანილი.

დამაკმაყოფილებლად არ ტარდება. უინტერესოა სკოლებში სიმღერის გაკვეთილები. ესთეტიკური აღზრდის კაბინეტის მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ხატვისა და სიმღერის გაკვეთილები მეტწილად არ ტარდება. სიმღერას, ისევე როგორც ხატვას, დაწყებით კლასებში არასპეციალისტები ასწავლიან. მაგალითად, ხატვას გეოგრაფიის მასწავლებელი ასწავლის.

ჩვენთან არსებობს სკოლები მათემატიკური განხრით, ინგლისური ენის განხრით. აუცილებლად საჭიროა გაიხსნას სკოლა, სადაც გაძლიერებულად შეისწავლიან ხელოვნების საგნებს.

ჩვენი მომავალი თაობის ესთეტიკური და მასთან ერთად ეთიკური აღზრდა არ არის მხოლოდ მასწავლებლთა და აღმზრდელთა საქმე, ეს ამავე დროს ყოველი ჩვენთაგანის საქმეც არის. აქ სხვიდან დედები, მამები, ალბათ ბებიებიც და პაპებიც. თუ ყოველი ჩვენთაგანი თავის წვლილს შეიტანს ჩვენი შეიღების ჰარმონიული აღზრდის პროცესში, ჩვენი მომავალიც, ჩვენი ახალი თაობის მომავალიც ნათელი და ფერულო იქნება.

დეპუტატ თ. ვ. ლაშქარაშვილის

სიტყვა

ხელმძღვანელობდა რა დიდი ლენინის მოძღვრებით, რომ კომუნიზმის აშენება შეიძლება მხოლოდ თანამედროვე განათლების საფუძველზე, პარტიის XXIV ყრილობამ მეცხრე ხუთწლედის ერთ-ერთ ამოცანად დაგვისახა ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრება. თქვენს ყურადღებას შევიერებ ამ ამოცანის განსახორციელებლად დღემდე გაწეული მუშაობის შედეგად მიღწეულ ზოგ დამახასიათებელ მაჩვენებლებზე:

ბოლოწლედის ოთხი წლის განმავლობაში რეალსადმთავრებულ მოსწავლეთა რაოდენობა 14 ათასით გაიზარდა. საშუალო სკოლების რიცხვი —112 ერთეულით, ხოლო ათკლასადმთავრებულთა რაოდენობა 23 ათასი მოსწავლით გადიდდა. რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ უკანასკნელ წლებში განათლების განვითარების მასშტაბები, საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ მერვე და მეცხრე ხუთწლედების მანძილზე საშუალო განათლება ალბილზე 1610-მდე გაიზარდა. ანუ ორჯერ უფრო მეტად. თუ მერვე ხუთწლედის დასაწყისში საშუალო საშუალო სწავლებლები 32 ათასმა მოსწავლემ დაამთავრა, წლეულს მათი რიცხვიც 88 ათასს მიაღწია. რვა კლასის დამთავრების შემდეგ საშუალო განათლების მისაღებად სწავლას 194 ათასი მოსწავლე განაგრძობს, რაც მათი საერთო რაოდენობის 95 პროცენტს შეადგენს.

ეს მაჩვენებლები თავისთავად არ არის ცუდი, მაგრამ თუ ამ ციფრებს მიღმა ჩავიხედავთ, დავინახავთ, რომ, როგორც სავსებით სამართლიანად იყო აღნიშნული მოხსენებაში, ჯერ კიდევ ბევრი საკითხი არ არის მოწესრიგებული. აკადემიური წელია ეს საკითხი სწორედ ასე გადაწყდა ჩვენს რაიონში. 30-35 დაწყებითი ბაკალავრიატის კლასი სკოლების ყველა მოსწავლე გაერთიანდა „ტენს სკოლა-ინტერნატში. რამაც შეუფარებლად გაუმჯობესა სწავლება. პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ მხოლოდ თანამედროვე სწავლების სასწავლის სრულყოფილად გამოყენება და მატერიალური ბაზა, კარგ მასწავლებელთან ერთად, არის საიმედო გარანტია რეგიონი მოქალაქის აღზრდისა.

და სვლისა, ოჯახში უნდა იქმნებოდეს და ყველა კარგი, ადამიანური ჩვევა სკოლაში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ისვეწებოდეს. ადამიანს ბავშვობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ წესიერებისა და დისციპლინის გრძნობა. იგი ოჯახიდან უნდა დაიწყოს და ოჯახთან ერთად სკოლაში და სკოლის შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში პოეოს შემდგომი განვითარება. ოჯახი ერთი რგოლია. სასწავლებელი კი — მეორე. ეს ერთ მთლიანობაში უნდა იყოს შეკავშირებული.

წარმოდგენილი კანონის პროექტი სახავს ჩვენს რესპუბლიკაში ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლების საქმის შემდგომი აღმავლობის. ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების. უმაღლესი სასწავლებლების და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესების გზებს. იგი მიმართულია კომუნიზმის. ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლის აქტიური მშენებლების აღზრდისა და სწავლების გაუმჯობესებისათვის. ვიწონებთ ამ კანონს და მოვუწოდებთ დეპუტატებს ერთხმად დაუჭირონ მას მხარი, მოიწონონ.

კიდევ ერთი საკითხი. საკითხი ენების შესახებ. ქართული ენა ჩვენი მამაპაპური ენაა. და ბუნებრივია. უნდა ვიცოდეთ. ამასთან ერთად, რუსული ენაც უნდა ვიცოდეთ. ეს ენა ეროვნული ენა კი არ არის. ეს აუცილებელია. მაგრამ იმისთვის ვინც მეცნიერულ გზას ადგას. მარტო რუსული და ქართული ენების ცოდნა არა „ყმარა და. უსათუოდ. რომელიმე სხვა უცხო ენაც უნდა შეისწავლოს.

დეპუტატ მ. პ. ალიევის

სიტყვა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად შემოტანილ სახალხო განათლების კანონს დიდი მნიშვნელობა ენენება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო განათლების ყველა რგოლის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ბოლნისის რაიონში შემუშავებული და დამტკიცებული სახალხო განათლების ხუთწლიანი გეგმა. რომელიც ითვალისწინებს ახალი სკოლების მშენებლობას, რეგიონალი სკოლების საშუალო სკოლებად რეორგანიზაციას. სასწავლო კაბინეტების, საწარმოო სახელოსნოების მოწყობას და სხვ.

დასახული გეგმა კარგად სრულდება. მეცხრე ხუთწლედის წლებში რაიონში აშენდა 11 სკოლა 8700 მოსწავლისათვის, წლეულს 1 სექტემბრისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცემა კიდევ ერთი რვაწლიანი სკოლის შენობა. მოწყობილია 139 სასწავლო კაბინეტი და სხვ.

პედაგოგთა კოლექტივებისა და საზოგადოებრიობის ერთობლივმა ღონისძიებებმა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელშეწყობით თავისი დადებითი შედეგები მოიტანა.

მეცხრე ხუთწლედის მთელი წლების მანძილზე რაიონში მთლიანად სრულდება სახალხო-სამეურნეო გეგმა სახალხო განათლების დარგში გაიზარდა ხარისხობრივი მაჩვენებლები. მოსწავლეთა წარმატებამ 1973-1974 სასწავლო წელს საგაზაფხულო გამოცდების შედეგების მიხედვით 94.2 პროცენტი შეადგინა 1970 წლის 90.5 პროცენტის ნაცვლად. მნიშვნელოვნად ამაღლდა ცოდნის ხარისხი. შემცირდა მოსწავლეთა სკოლას ჩამოშორება. შარშან მან სულ 12 კაცი შეადგინა. 1973/1974 სასწავლო წელს მერვე კლასების კურსდამთავრებულთა 95-მა პროცენტმა განაგრძო სწავლა განათლება. 1974-1975 სასწავლო წელს, პარაუდით, ეს მაჩვენებელი 98 პროცენტამდე გაიზრდება.

რაიონში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითს აღზრდასა და პროფესიულ ორიენტაციას. წლეულს სკოლების მოსწავლეთაგან შედგენილი 100-ზე მეტი ბრიგადა მონაწილეობს მეხუთე შრომითის მეოთხედში ადგილეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებსა და პლანტაციებში. მოსწავლეები ეხმარებიან უფროსებს მიწის დამუშავებასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსავლის აღებაში. რაიონის მოსწავლეები სამეურნეო წლის დამლევამდე შეასრულებენ 900.000 მანეთის სამუშაოებს.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ საყოველთაო-საშუალო განათლების პრობლემა მარტო სასწავლებლთა ქსელის გაფართოებით არ ამოიწურება. საჭიროა ეჭვეთვე შეიქმნას კარგი სასწავლო-მატერიალური ბაზა. მოეწყოს სასწავლო კაბინეტები და სახელოსნოები თანამედროვე მოთხოვნათა დონის შესაბამისად.

ახლა მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნილება სასწავლო მოწყობილობაზე, რომლითაც ენტრალიზებულად უნდა მოვამარაგოთ სკოლები, მაგრამ ასეთი მოწყობილობა აშკარად არ გამოდის საკმაო რაოდენობით.

სახალხო განათლების კანონის პროექტი რაიონში თართოდ განხილეს საწარმოო კოლექტივებმა, განათლების მუშაკებმა და ერთსულოვნადაც მიიღნეს. სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ სახალხო განათლების საკითხები ორჯერ განხილულ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესიებმა. შემუშავებულია ახალგაზრდობის საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების კონკრეტული ღონისძიებები.

ამ სესიის მიერ კანონის მიღება ხელს შეუწყობს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების კიდევ უფრო წარმატებით გადაწყვეტას.

დეპუტატ ვ. ნ. რუდის

სიტყვა

რუსთავი დიდი სამრეწველო და კულტურული ცენტრი გახდა. აქ აღიზარდა ახალი თაობა, რომელიც თანდათანობით ხდება მისი მუშათა კლასისა და ინტელიგენციის ღერძი.

ყოველწლიურად მატულობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და სკოლამდელ დაწესებულებათა რიცხვი, უმჯობესდება მათი მატერიალური ბაზა. სწორედ სკოლა ანსაზღვრავს ჩვენს მომავალ მოქალაქეთა ბედს, მისი კურსდამთავრებულების შემდგომ საქმიანობის საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე.

მაგრამ სკოლები და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებები მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის თითზოვნილებებს, მათი მშენებლობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქალაქის ზრდის საერთო ტემპს. ჩვენი ქალაქის მოსწავლეთა 40 პროცენტი მეორე ცვლაში სწავლობს, მაშინ როცა რესპუბლიკაში საშუალო მაჩვენებელი 24.1 პროცენტია.

ანასაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ახალ მშენებლობათა რაიონში. 2960 მოსწავლისათვის ათვალისწინებულ სამ სკოლაში თექტიურად 5085 მოსწავლე სწავლობს.

ამავე რაიონში წლის დამლევამდე საექსპლოატაციოდ გადაეცემა 55 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რის გამო სკოლაში წავა 2 ათასზე მეტი სასკოლო ასაკის ბავშვი.

ამავე დროს განათლების საინინისტროს ახალი სკოლების მშენებლობა არც 1975 წლისთვის დაუგეგმავს და არც 1976 წლისთვის.

უკეთ არ არის საქმე სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მხრივაც. 29 სამბავშვო ბაღში 5310 ბავშვია, რაც 1220-ით აღემატება ჰიგიენური ნორმებით გათვალისწინებულს.

სკოლამდელი ასაკის რამდენიმე ათასი ბავშვი სამბავშვო ბაღ-ბაღების გარეთ არის დარჩენილი.

თუ გაითვალისწინებთ, რომ მცხოვრებთა საშუალო ასაკი 27 წელია, ბავშვთა მშობლები მეტწილად მუშაობენ.

ქალაქში ბევრი ქალია, რომლებსაც მუშაობა სურთ. მაგრამ მოკლებული არიან ამ შესაძლებლობას სამბავშვო ბაღ-ბაღების ნაკლებობის გამო.

ჩემი ამომრჩევლების სახელით მინდა ვთხოვო განათლების სამინისტროს გაითვალისწინოს სკოლების და სამბავშვო ბაღ-ბაღების მშენებლობა, მხედველობაში მიიღოს ქალაქში შექმნილი მძიმე მდგომარეობა. მშენებლობის სამინისტროს ვთხოვ გადაწყვიტოს № 17 პროფტექნიკური სასწავლებლის რეკონსტრუქციისა და გათართობის საკითხი.

მე, როგორც მუშათა კლასის წარმომადგენელი, ვიწონებ სესიის განსახილველად შემოტანილ სახალხო განათლების კანონის პროექტს.

დეპუტატ ო. ი. მენაგდის

სიტყვა

როდესაც სახალხო განათლების გაუმჯობესების საკითხს ვიხილავთ საჭიროა, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ თვით სკოლის, პედაგოგიური კოლექტივების, მოსწავლე ახალგაზრდობის როლსა და ადგილს ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის ბრძოლაში. საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებათა სწორად აღქმა თვით ცხოვრების სწორად ფანახვა, მოვლენათა სწორად შეფასების უნარია, რომელსაც პირველი ნაბიჯებიდანვე უნდა ვინერგავდეთ მოზარე თაობას. ამიტომ არის სკოლა, სახალხო განათლების საქმე ნამდვილად საყოველთაო, ნამდვილად სახელმწიფოებრივ ქვეყნის სასიცოცხლო საქმედ მიჩნეული.

სოფლის სკოლის პრობლემა დღეს მასშტაბურად არის გადაჭრილი. სოთლად მოსწავლეთა რაა პროცენტი მესამე ცვლაში სწავლობს, ასამდე სასკოლო შენობა ავარიულია, სოფლის მოსწავლეთა ცოდნის დონე ძალზე დაბალია. სუტ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან ერთად, სოფლის სკოლები კვალფიციური კადრების. მწვავე ნაკლებობასაც განიცდიან.

მიუდა დეპუტატებს ვაცნობო, რომ დღეს რესპუბლიკის ახალგაზრდობის საყოველთაო შაბათობაზე, რომელიც მიმდინარეობს დეკეზოით „კომკავშირი — სოფლის სკოლას“, კომკავშირული ორგანიზაციები. სტუდენტთა სამშენებლო რაზმები, უფროსკლასელთა შრომითი ბრიგადები მონაწილეობენ სკოლების მშენებლობაში, არსებული შენობების შეკეთებასა და კეთილმოწყობაში. ეს შეიძლება ზღვის ერთი წვეთი იყოს, მაგრამ კონკრეტული და საჭირო საქმის გაგრძელება და განვითარებაა.

მოწონავე სკოლები ზაფხულის პერიოდსაც აქტიურად იყენებ. მოსწავლეთა აღზრდისათვის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოზარდი თაობის დასვენების ორგანიზაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ამ მიმართულებით, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ყველა არსებულ საშუალებას ვიყენებთ იმისათვის, რომ ზაფხული ორგანულად იყო შერწყმული სკოლებში წარმოებულ აღმზრდელობითს მუშაობასთან, თავისუფალი დროის მიზნობრივად გამოყენებასთან.

(დასასრული მე-3 გვ.).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

კამათი მოხსენებისა და თანამოხსენების გამო — „საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონის პროექტის შესახებ"

(დასასრული).

1973 წლიდან მოყოლებული სახეფხურულო არდადეგები უჩვეულოა ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, საბჭოთა სკოლაში დამკვიდრდა შრომითი აღზრდის. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით მოზარდთა აღზრდის ერთიანი სისტემა, მაგრამ ჯერჯერობით მაინც საკლებად ვიყენებთ მის მეცნიერულად დასაბუთებულ პრინციპებს, იმ დიდ შესაძლებლობებს, რომლებიც მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების საქმიანობას მოეპოვება პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების საქმეში.

დღეს რესპუბლიკაში ახალგაზრდობის პრობლემებს არნახული ყურადღება ექცევა. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ვვავალებს ორმად ჩავწვდეთ ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემებს, მეცნიერულად დასაბუთებულად ვიდავჭოთ ისინი. ამ მხრივ ალბათ საერთო აზრს გამოვთქვამ. განსაკუთრებული სიტყვა უნდა თქვან მშობლებმა, რომელთა მოალეობა წარმოდგენილი კანონპროექტით ნათლად არის ჩამოყალიბებული.

სესიის განსახილველად წარმოდგენილი სახალხო განათლების კანონპროექტი გაზრდილ მოთხოვნებს აყენებს. საქართველოს კომკავშირი, რესპუბლიკის ქალიშვილები და ჭაბუკები წარმატებით გადაჭრიან საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობის დადგენილებიდან, ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან გამომდინარე ამოცანებს და პირნათლად შეხვდებიან ჩვენი ქვეყნის კომუნისტების დიდ ფორუმს, — სკკპ XXV ყრილობას.

დეპუტატ
ნ. შ. ენდელაძის
სიტყვა

მოზარდი თაობის სწავლა და აღზრდა მუდამ იყო საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი ამ საკითხებისადმი. რესპუბლიკის სახალხო განათლების კანონი, უეჭველია, ხელს შეუწყობს მოშობის სისტემატიზაციას მოზარდი თაობის აღზრდისა და სწავლებას საქმეში, თაობისა, რომლის წმინდა ვალია ჩვენი კომუნისტური იდეალებისათვის შინაგანული ბრძოლის ერთ-ერთ ასარულებდეს.

დღევანდელი პირველკლასელები უკვე XXI საუკუნის ზღურბლზე იშრომებენ. იმ დროისათვის, როგორც სპეციალისტები ანგარიშობენ, სერიოზული თვისებრივი ცვლილებები მოხდება წარმოების ტექნიკურ აღჭურვაში, გაჩრება ერთი და განხდება ახალი პროფესიები, ფიზიკური შრომის მაკავრად სულ უფრო დიდ როლს შეასრულებს ადამიანის შემოქმედებითი შრომა, მისი უნარი სწრაფად გარდაიქმნას განვითარებადი მეცნიერებისა და ტექნიკის მოთხოვნილებათა შესაბამისად, ადვილად გადავიდეს ერთი სახეობის მუშაობიდან მეორეზე, უფრო რთულსა და უფრო დაძაბულზე. მაშასადამე: მას უნდა ჰქონდეს თანამედროვე ცოდნის ისეთი მარაგი, რომელიც საშუალებას მისცემს თავისუფლად ერკვეოდეს ამა თუ იმ დარგის ფარგლებში, განუწყვეტლივ იმდიდრებდეს და აახლებდეს ამ ცოდნას.

ზუსტი მეცნიერება კონკრეტული ცოდნაა, ლიტერატურა, ისტორია კი აყალიბებს მოსწავლის მსოფლმხედველობას. მოსწავლეს შეგვიძლია ვასწავლოთ ინტეგრალის გამოყვანა, მაგრამ ამას ინსტიტუტშიც მოვასწრებთ, თანაც დროის, ძალებისა და ენერგიის ნაკლები დახარჯვით. კონკრეტული საგნების შესწავლაზე უამრავი ძალღონის დახარჯვით კი მოსწავლემ შეიძლება გაცილებით მეტი და დიდმნიშვნელოვანი დაკარგოს — ვთქვათ, ვერ შეძლოს კარგი წიგნის წაკითხვა.

ამას ბარდა, როგორც ცნობილია, მათემატიკის ნიჭი ყველას როდი აქვს. და რა გამოდის: იქ ვერ გაიგო, აქ ვერაფერი ვერ ხეირად ვერ ხეირად სკოლას ამთავრებს ნახევრად მეცოდნე ადამიანი, რომელსაც ვიწრო ჰორიზონტი და სრულიად განუვითარებელი მეტყველება აქვს.

ჩვენი აზრით, სერიოზულ საფრთხეს ქმნის ულანასკნელ ხანს დასახული უტილიტარიზმი საზოგადოებრივი დავალებებისადმი მიდგომაში.

მხოლოდ დიდ მიზნებს, მხოლოდ ამ მიზნების გზებს შეუძლია ბოლოჩენილი და საინტერესო გახადოს პიროვნება. სხვა გზა არ არსებობს. და თუ კიდევაც არის — ეს მეშჩანობის, ობივატელობის, უფერულობისა და მოწყენილობის გზაა. ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ეს სესია, უეჭველად, თვის წვლილს შეიტანს სახალხო განათლების პრობლემების გადაწყვეტაში, ახალ, თვისებრივად უფრო მაღალ საფეხურზე მის აყვანაში.

დეპუტატ
ნ. შ. ენდელაძის
სიტყვა

„საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონი", რომელიც სესიამ უნდა დაამტკიცოს, დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტია. კანონში სწორად, ღრმად, მეცნიერული სიზუსტით არის განსაზღვრული სახალხო განათლების არსის სპეციფიკა, მიზნები. ამოცანები, ძირითადი პრინციპები, სისტემა — ყველაფერი ის, რაც ჩვენი სოციალისტური საზოგადოების, კერძოდ, საბჭოთა საქართველოს სახალხო განათლების კანონმდებლობას ექვემდებარება.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობაში ბევრი ხარვეზია, ბევრი პრობლემა მოითხოვს გადაწყვეტას. მაგრამ გვაქვს სურვილი, მონდომება, გვყავს ძალები გადაგლახოთ სიძნელეები, ღიმოვფხვრათ ნაკლოვანებები. ამ საქმეში, ზემდგომ ორგანოებთან ერთად, საზოგადოებაც უნდა დაგვეხმაროს. სკოლა ხომ საზოგადოებრივი ორგანიზმია, საზოგადოებას ემსახურება და საზოგადოებით სუნთქავს. პირველყოვლისა, დაგვეხმარეთ ახალი კონტინგენტის მიღების საქმეში!

გული მეკუმშება, როცა ლექციების ხარისხზე ვფიქრობ. რა დასამალავია, ბევრი სტუდენტი კმაყოფილი არ არის ზოგიერთი ლექტორის მუშაობით, ლექციებით. ეს უკვე ჩვენი ბრალია. უმაღლეს სკოლაში არ უნდა გვყავდეს არცერთი ურიგო ლექტორი, არ უნდა იკითხებოდეს არცერთი დაბალხარისხოვანი ლექცია, „ყველა სკოლა და ყველა ლექტორი სანიმუშო უნდა იყოს.

მეათე ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედია. ეს ხარისხი მარტო პროდუქციას ან მშენებლობას რომ ეხება. ლაპარაკია ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში მუშაობის მაღალი დონისა და ხარისხის მიღწევაზე, მაშასადამე, სკოლის მუშაობის ხარისხზეც.

ჩვენ გვახარებს, რომ ბოლო ოთხი წლის მანძილზე საქართველოს მეცნიერთა რიგებს 733 კაცი შეემატა, საბჭოთა მეცნიერება ახალ-ახალი ნიჭიერი კადრებით იზრდება. მაგრამ საერთო წარმატების ფონზე თვალს ვერ ავიარიდებთ უარყოფით მოვლენას, ზოგიერთი ცდილობს მეცნიერის რანგი ნიჭით, უნარით, ცოდნით კი არ მოიპოვოს, არამედ ინსინუაციებითა და ფიზიკური ძალითაც.

თუ, რამდენად უმჯობესდება ბოლო წლებში საქართველოს უმაღლესი სკოლის მუშაობა, ნათლად ჩანს შემდეგი მონაცემებით: აკადემიური წარმატება 1970-71 წლის დღის სწავლებაზე 76,5 პროცენტს შეადგენდა, 1971-72 წლეს — 82,7 პროცენტს, 1972-73 წლს — 85,9 პროცენტს, ხოლო გასულ სასწავლო წელს — 89.1 პროცენტს. ეს ნამდვილად ფრთხილია, მაგრამ ჩვენ ამით რადი ეკმაყოფილდენი. მიმდინარე სასწავლო წელს უკითხეს შედეგებს მოვიღეთ, როგორც აკადემიური წარმატების, ისე სპეციალისტთა გამოშვების მხრივ.

უნდა გადაწყდეს სტუდენტთა ქალაქის პრობლემა, რომელიც ჩვენ საკმაო ხანია დავაყენეთ.

ძალიან შებოჭილი ვართ სახელმძღვანელოების პირდაპირ კატასტროფული სიმცირით. მოგეხსენებთ, ეროვნულ მეცნიერებას ვერავინ დაეფუფება. 300-მდე საგანს ვასწავლით, ყოველწლიურად კი მარტოოდენ 80-100 სახელმძღვანელოს ვბეჭდავთ.

გთხოვთ დაამტკიცოთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი სახალხო განათლების შესახებ.

თბილისის სსრ კავშირის მარშლის ტოლბუხინის სახელობის № 6 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის

ნ. მ. კუპავას
სიტყვა

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებში, აგრეთვე კანონის აქ წარმოდგენილ პროექტში დიდი ყურადღება ეთმობა საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელს. საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, რომელთა რიცხვი 1975 წლის 1 სექტემბრისათვის 39 მიაღწევს, სწავლებისა და აღზრდის ყველა პირობაა შექმნილი.

ბოლო ხანს საქართველოში სწრაფი ტემპით ვითარდება პროფტექნიკური სასწავლებლების ქსელი. მარტო სამი წლის მანძილზე 12 ახალი სასწავლებელი და 4 ფილიალი გაიხსნა. ძირეულად გაუმჯობესდა ხარისხობრივი მაჩვენებელიც, შეიცვალა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსიც. მაგრამ ჩვენს მუშობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები.

მთავარ ნაკლად კვლავ რჩება ზოგ სასწავლებელში თეორიული და საწარმო სწავლების, მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დაბალი დონე, საწარმოო პრაქტიკის ცუდი ორგანიზაცია და ცალკეული საბაზო სამინისტროებისათვის კადრების მომზადების გეგმების შეუსრულებლობა.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა მჭიდროდ არის დაკავშირებული საწარმოებთან, რომელთაც კადრებს უმზადებს. საბაზო საწარმოების ვალია გაძლიერონ ახალგაზრდა კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებისა და აღზრდისათვის ხ ნვა, ხელი შეუწყონ სასწავლებლებს კურსდამთავრებულთა სამუშაოზე შეხარჩენებაში. თავისთავად ცხადია, რომ, თუ საწარმოებმა არ შეუქმნეს ახალგაზრდა მუშებს შრომისა და დასვენების პირობები, არ გამოუყვეს სათანადო სამუშაო ადგილი და არ უზრუნველყვეს ნორმალური მატერიალური ანაზღაურება, იქნება სასწავლებლიდან მოსწავლეთა გასვლის შემთხვევები.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის ყველა მუშაკის სახელით გვსურს განვაცხადოთ, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ რესპუბლიკის სახალხო განათლების კანონის მიღება დიდად შეუწყობს ხელს სახალხო განათლების ყველა რგოლის საქმიანობას, კიდევ უფრო გაუმჯობესებს ჩვენს ქვეყანაში მომავალი თაობის აღზრდის, მუშათა კლასის ახალგაზრდა შრომის მომზადების მთელ საქმეს.

დეპუტატ
ა. ო. მოვსესიანის
სიტყვა

ჩვენ ყველამ დიდი ყურადღებით მოვისმინეთ ამხ. ო. ე. ჩერქეზიას მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონის პროექტის შესახებ. რა თქმა უნდა, სესიაზე ამ საკითხის განხილვას დიდი სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონი კანონმდებლობით ამკვიდრებს უზარმაზარ მიღწევებს, რომლებიც საქართველოს სსრ მშრომელებმა მოიპოვეს საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე სახალხო განათლების დარგში, და ამასთანავე განსაზღვრავს ჩვენი რესპუბლიკის განათლების მთელი სისტემის ორგანიზაციისა და საქმიანობის მეცნიერულ საფუძვლებს, პრინციპებს, ამოცანებს.

სახალხო განათლების კანონის მიღება ნათლად ადასტურებს, რომ სწორია ლენინური ეროვნული პოლიტიკა, რომლის განხორციელებამ ჩვენი ქვეყნის ხალხებს მისცა ნამდვილი ეროვნული აღორძინების, ეროვნული კულტურისა და განათლების განვითარების შესაძლებლობა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში განსაცვიფრებელი ცვლილებები მოხდა განათლების დარგში ახალქალაქის რაიონშიც. საკმარისია ის ფაქტი, რომ რაიონში 68 საშუალო, რვაწლიანი და დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, რომლებშიც 19 ათასზე მეტი მოსწავლე სწავლობს და 1530 მასწავლებელი ასწავლის.

ამასთანავე, რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია.

საიდუმლო არ არის, რომ სასკოლო ცხოვრებასაც დაეჩნია დაღი ახლო წარსულში რესპუბლიკაში გამეფებულმა ყალბმა წარმოდგენამ ადგილებზე საქმის ვითარების შესახებ, ტკბილოლობამ და ერთმანეთისადმი მომთხოვნელობის შესუსტებამ.

მინდა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო, ჩემი აზრით, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მეტად დიდმნიშვნელოვან საკითხს — მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურ შეფასებას.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს სკოლებში ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა პროტექციით წერენ ნიშნებს, და სურთ შექმნან მოჩვენებითი კეთილდღეობის ვითარება. ამ ბოროტების წინააღმდეგ, რომელიც დამღუპველ გაჯერნას ახდენს ახალგაზრდის პიროვნების ჩამოყალიბებაზე, პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა, პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ ერთობლივი ღონისძიებებით უნდა გააჩაღონ გადამწყვეტი ბრძოლა.

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის მოზარდი თაობის აღზრდაში მარტო სკოლა კი არ მონაწილობს, არამედ ოჯახიც, მთელი საზოგადოებრიობაც.

განსაკუთრებით დიდია ოჯახის როლი. მაგრამ, სამწუხაროდ, მშობლები ყოველთვის როდი კისრულობენ სრულ პასუხისმგებლობას შვილების ცუდი საქციელისათვის. ამიტომ წინადადება შემოგაქვს კანონის პროექტის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია მშობლებისა და მათი შემცველი პირების უფლება-მოვალეობებზე, უფრო კონკრეტულად აღინიშნოს შვილების აღზრდისათვის მშობლების პასუხისმგებლობა.

უკანასკნელ ხანს რაიონის სკოლებში გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა გამოსაშვები კლასების მოსწავლეთა სწორ პროფესიულ ორიენტაციას. ეს შუშობა განსაკუთრებით საჭირო, რადგან ზოგიერთი სკოლის მოსწავლეებში დამკვიდრდა აზრი, თითქოს საშუალო სკოლა მხოლოდ იმისათვის უნდა დამთავრონ, რომ სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებლებში, ამის შედეგად იმ კურსდამთავრებულებსაც კი, რომლებსაც მცირე ცოდნა აქვთ, არ სურთ მუშობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ამ მიმართულებით დიდი დახმარება გაგვიწიეს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რომელთა მეცადინეობით შარშანდელიდან რაიონში სოფლის პროფტექნიკური სასწავლებელი მუშაობს. ამჟამად აქ 410 მოსწავლე სწავლობს.

დეპუტატ
მ. მ. ჯოლოგუას
სიტყვა

ცხაკაიას რაიონის ახალგაზრდები თავდადებით შრომობენ საწარმოებსა და კოლმეურნეობებში. მათ თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტაში, ისინი რაიონის მშრომელების გვერდით თავდადებით იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესასრულებლად.

მიხარია და ვამაყობ, რომ რაიონის მეჩაიეთა წარმატებაში სათანადო წვლილი მეც მამიძღვის. 1970 წელს, როგორც კი დავამთავრე საშუალო სკოლა, მშობლიური სოფლის კოლმეურნეობაში დავიწყე მუშაობა. 1973 წელს გავანაღდე პირადი ხუთწლიანი გეგმა, ხოლო 74 წელს გეგმა-ვალდებულება. წლეულს მთლიანად ვმუშობ მეათე ხუთწლედის ანგარიშში.

ასეთივე თავდადებითა და ენერგიით შრომობს ჩვენი რაიონის მრეწველობაში დასაქმებული ასობით ახალგაზრდა მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი, რომლებიც იბრძვიან 1.115 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის.

სესიაზე განსახილველად წარმოდგენილ საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონპროექტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სასკოლო შენობების აგებას. სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებას. ამ მხრივ უკანასკნელ პერიოდში ჩვენს რაიონში ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება. საეკლესიოტაციონიდ გადაეცა საშუალო სკოლის ოთხი და რვაწლიანი სკოლის ორი ახალი შენობა. მშენებლობის პროცესშია საშუალო სკოლის სამი შენობა, რომლიდან ორი ახალ სასწავლო წელს დამთავრდება. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, უეარგის შენობებშია მოთავსებული ლეძანმის, ფოცხოს საშუალო, ქალაქის პირველი, ლეგოგინეს და პირველი მაისის რვაწლიანი სკოლები. ფართობის ნაკლებობას განიცდიან გეჯეთის და თეკლათის საშუალო სკოლები.

ცხაკაიელმა ახალგაზრდებმა დამავალეს მათი სახელით ვთხოვო სესიის, რომ დაავალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უახლოეს პერიოდში გამოყოს სახსრები ქალაქის პირველი სკოლის შენობის ასაგებად ან მისი რეკონსტრუქციისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1974 წელს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დაავალა 1977 წლამდე განახორციელოს ღონისძიებები ცხაკაიას პროფტექნიკური სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაფართოებლად, კერძოდ, ააშენოს სასწავლო სახელოსნოები (250 სასწავლო ადგილით) და სასწავლო კორპუსი გააფართოოს 300 სასწავლო ადგილით. ამ მიმართულებით მუშაობა დღემდე არ დწყებულა. ჩვენ ვთხოვთ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დაიჩქაროს აღნიშნულ სამუშაოთა საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები. ამასთან საჭიროდ მიგვაჩნია დავაყენოთ საკითხი, რომ ცხაკაიას პროფსასწავლებელი საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებლად გადაკეთდეს, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ, გარდა პროფესიისა, საშუალო განათლებაც მიიღონ. (საქინფორმი).

მთავრდება კოსმოსში საბჭოთა-ამერიკული ექსპერიმენტისათვის მზადება. ორივე კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟები გაცხოველებით მეცადინეობენ. **ხუთათზე:** ამერიკელი ასტრონავტი დ. სლეიტონი და საბჭოთა კოსმონავტი ვ. კუბასოვი ჰიუსტონში მეცადინეობის დროს. (სატელეფონო ფოტოქრონიკა).

კოსმოსური მედიცინის ახალი სიტყვა

„სოიუზ-აპოლონის" პროექტს განმარტავს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ნ. ბურომბაკი.

მაშ ასე, „სოიუზ" და „აპოლონ" კოსმოსური ხომალდები სტარტს აიღებენ 15 ივლისს და შემდეგ შეპირაპირდებიან. ორ დღე-ღამეს ხომალდები ერთად იფრენენ. ამ დროის მანძილზე საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტები რამდენჯერმე გადავლენ ერთი ხომალდიდან მეორეში, განსორციელებენ მთელ რიგ ექსპერიმენტებს. შემდეგ მოხდება ხომალდების განპირაპირება და ისინი დედამიწაზე დაეშვებიან. ასეთია ამ უნიკალური ექსპერიმენტის ზოგადი სქემა.

უპირველეს ყოვლისა ექსპერიმენტის მომზადებისას საჭირო იყო ერთი ხომალდიდან მეორეში კოსმონავტთა გადასვლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. საქმე ის არის, რომ საბჭოთა პილოტირებული კოსმოსური აპარატების კაბინებში მიდებულია დედამიწის ბარომეტრული წნევა (ვერცხლისწყლის სვეტის 760 მილიმეტრამდე). ამასთან ერთგვაროვანი (20 პროცენტამდე). ამერიკულ ხომალდებში კაბინის აგმოსფერო შედგება სუფთა ჟანგბადისაგან და წნევა უდრის ვერცხლისწყლის სვეტის 260-მდე მილიმეტრს. ამ პირობებში კოსმონავტების შუბალო, სწრაფი გადასვლა ერთი ხომალდიდან მეორეში შეუძლებელია იმასთან დაკავშირებით, რომ საშიშია ორგანიზმის ეგრეთ წოდებული დეკომპრესიული მოშლილობანი.

საქმე ის არის, რომ ადამიანის ცოცხალი ქსოვილები გახსნილ მდგომარეობაში შეიცავენ სხვადასხვა აგზს, რომელთაგან მოცულობით ყველაზე მეტია აზოტი, რადგან ჰაერი შეიცავს დაახლოებით 78 პროცენტ აზოტს. მაგალითად, საშუალო წონის ადამიანის ქსოვილებში ნორმალური ბარომეტრული წნევის დროს ერთ ლიტრამდე გახსნილი აზოტია. რაც უფრო მაღალია წნევა, მით უფრო მეტი აზოტი გაიხსნება ქსოვილებში. თუ ადამიანი სწრაფად გადავა დიდწნევიანი ატმოსფეროდან დაბალწნევიან ატმოსფეროში, მაშინ გახსნილი აზოტი ქსოვილებში -გამოიყოფა ბუშტულების სახით.

დეკომპრესიული დაავადების სიმპტომები დამოკიდებულია გაზის ბუშტულების რაოდენობასა და ლოკალიზაციაზე, ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებზე და გამოიხატება კუნთებისა და სახსრების, გულმკერდის ტკივილით, კანის ქავილით, „მაღლივი" ხვლებით, ვეგეტატიური, სისხლძარღვების, ტვინის მოშლილობით.

„სოიუზ" და „აპოლონ" კოსმოსურ ხომალდებში წნევის რეჟიმების შესაბამისად პრობლემის ოპტიმალური გადაჭრის ძიების შედეგად მიღებულია ასეთი რეჟიმენდაცია: „სოიუზ" ხომალდის კაბინაში შემცირდეს ბარომეტრული წნევა და გაიზარდოს ჟანგბადის შემცველობა, რითაც შემცირდება განსხვავება „აპოლონ" ხომალდის კაბინის ატმოსფეროს წნევასა და შემადგენლობასთან. ამ შემთხვევაში ხომალდიდან ხომალდში გადასვლა შეიძლება სწრაფად, შუალედურ ღონისძიებათა გამოუყენებლად. საგულდაგულო კვლევის შედეგად „სოიუზ" ხომალდის კაბინაში ბარომეტრული წნევა შემცირეს და ახლა შეადგენს ვერცხლისწყლის სვეტის 520 პლუს მინუს 30 მილიმეტრს, ხოლო ჟანგბადის შემცველობა 40 პროცენტს. ამ ატმოსფეროში 12 საათის ყოფნის შემდეგ სრულიად გამორიცხება დეკომპრესიული მოშლილობათა წარმოშობის შესაძლებლობა და უზრუნველყოფილია უსაფრთხობა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი ფრენის პროგრამის შესრულებისას.

არის თუ არა საინტერესო სამედიცინო საკითხები, რომელთა გადაწყვეტა გათვალისწინებულია „სოიუზ-აპოლონის" პროგრამით საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტების ფრენის დროს? დიახ, არის. ეს არის ერთობლივი ექსპერიმენტები, რომელთა მიზანია გამოვარკვიოთ „სოიუზ" და „აპოლონ" ხომალდების ეკიპაჟთა წევრებს შორის მიკროორგანიზმების გაცვლის თავისებურებანი (ექსპერიმენტი „მიკრობების გაცვლა") და ადამიანის ორგანიზმის იმუნორეაქტივობა ფრენის პირობებში, ბიოლოგიური რიტმების მიმდინარეობის თავისებურებათა შესწავლა (ექსპერიმენტი „ზონის შემქმნელი სოკო"). კვლევა ეწყობა ატმოსფერული ტიპის სოკოს შტამის გამოყენებით. ერთმანეთს შეადარებენ მონაცემებს, რომელებსაც მიიღებენ დედამიწის პირობებში და კოსმოსური ფრენის დროს, როცა არ არის ტემპერატურის, ტენიანობისა და სხვა გარემო ფაქტორები სადღეღამისო ცვლილებანი, მაგრამ დღე და ღამე უფრო ხშირად ცვლიან ერთმანეთს. ეს საინტერესოა, რადგან სეზონური და სადღეღამისო რიტმები ახასიათებენ ცოცხალ მატერიას და გამოხატავენ ცოცხალი ორგანიზმების შეგუებას ღერძის გარშემო დედამიწის ბრუნვასთან.

ეს ექსპერიმენტები სპეციალურად შეიმუშავეს ამ ფრენისათვის. მას ახასიათებს კიდევ ერთი თავისებურება. ახლა უკვე საკმაოდ მკაფიოდ არის გამოკვეული უწონობასთან შეხვედრის პირველ დღეებში კოსმონავტის ორგანიზმის რეაგირების ძირითადი კანონზომიერებანი. ფიზიოლოგიური ფუნქციების გარდაქმნის პროცესი და ახალ პირობებთან ადაპტაცია შეუქმნელად ორი მიმდინარეობს. ყველა კოსმონავტს შეემჩნევა სხვადასხვა სიმპტომი, საერთო არასასიამოვნო, მძიმე შეგრძნებები, უქეიფობა, ვესტიბულარული მოშლილობა იჩენება ეს თუ საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული სიმპტომები, რომლებიც გარეგნულად ჰგავს ზღვის ავადმყოფობას (ახლა ბევრი ამას „თანამგზავრის ავადმყოფობას" უწოდებს). ფიზიოლოგიური სისტემების გარდაქმნის ყველა ეს გამოვლინება რამდენიმე ხანში ქრება და ადამიანი ეზევა უწონობას.

მართალია, ზოგიერთი მოვლენა მაგალითად თავში სისხლის მოწოლის გრძნობა, შეიძლება საკმაოდ დიდხანს, ზოგჯერ მთელი ფრენის მანძილზე ვრძელდებოდეს. ამ მოვლენის მიმდინარეობა ჯერ ბოლომდე არ არის შესწავლილი. არის მონაცემები, რომ კოსმოსში განმეორებით გაფრენა ანელებს ზემოაღნიშნულ მოშლილობის ძალას. მაგრამ ყოველივე ეს ჯერ შესასწავლი და შესამოწმებელია. უწონობასთან ორგანიზმის ადაპტაციის კანონზომიერების ფენომენის შედეგად შესაძლებელი გახდება დახმარების დასადასტურებელ საშუალებათა რეკომენდაცია, არასასიამოვნო შეგრძნების შენელება.

უთუოდ საინტერესოა ერთდროულად ერთნაირ პირობებში მყოფი ხუთი კოსმონავტის ორგანიზმის რეაგირების შესწავლა, თუ გავითვალისწინებთ სხვადასხვა ინდივიდუალურ თავისებურებებს, კოსმოსში მუშაობის სხვადასხვა გამოცდილებას.

კოსმოსური ფრენა ყოველთვის მოვლენაა ადამიანების ცხოვრებაში. თვითეული ფრენას წვლილი შეაქვს მეცნიერების განვითარებაში. მის დროს ხდება ახალი მოვლენების, კანონზომიერებების აღმოჩენა ან არსებულ დაკვირვებათა დადასტურება. „სოიუზ" და „აპოლონ" ხომალდების ერთობლივი ფრენა ახალი ნაბიჯი იქნება მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის ათვისების საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის გზაზე. (საკდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ო. ე. ჩერქეზიას საბოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

ჩვენს დღევანდელ სესიაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შეტანილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო განათლების კანონი, უეჭველია, ხელს შეუწყობს მოშობის სისტემატიზაციას მოზარდი თაობის აღზრდისა და სწავლებას საქმეში, თაობისა, რომლის წმინდა ვალია ჩვენი კომუნისტური იდეალებისათვის შინაგანული ბრძოლის ერთ-ერთ ასრულებდეს.

ეს გარემოება მთავისუფლებს მე ვრცელი საბოლოო სიტყვისაგან.

მინდა პასუხი გავცე იმ ორიოდე შენიშვნის და წინადადებას, რომელიც სესიაზე იყო წარმოთქმული კანონპროექტის გამო.

დეპუტატმა ჯაშმა შემოიტანა წინადადება, რომ „სახალხო განათლების შესახებ" კანონის 26-ე მუხლს დაემატოს „მაღალი მთის ეკონომიურად სუსტი რაიონების ინტერნატებში ჩარიცხული ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია ეუფასო კვებით სახელმწიფოს ხარჯზე".

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს საკითხი სცილდება რესპუბლიკის კომპეტენციას და ამგვარად ვერ აისახება წარმოდგენილ კანონპროექტში.

დეპუტატ ოლობერიძის გამოსვლიდან ჩანს, რომ კანონპროექტში უფრო ხაზგასმული უნდა იყოს ესთეტიკური აღზრდის მნიშვნელობა. ვფიქრობ, ეს გარემოება ანგარიშგასაწევია.

დეპუტატ მოვსესიანის გამოსვლაში გამოთქმული იყო წინადადება, რომ კანონპროექტში უფრო მკაცრად აღინიშნოს მშობლების პასუხისმგებლობა.

ვგონებ კანონპროექტში საკმარისად არის აღნიშნული შვილების მიმართ მშობლების პასუხისმგებლობა და თუ აქ გათვალისწინებულია ის შემოხვევები, როცა ისინი ხელს უშლიან განათლების მიღებას, ვფიქრობ, 71-ე მუხლში უფრო მეტი სიმკაცრის შეტანა არ არის საჭირო.

ამხანაგმა მოვსესიანმა შემოიტანა აგრეთვე წინადადება, რომ კანონპროექტის 71-ე მუხლში ეტქვინ ეთქვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა ატესტაცია.

ეს საკითხი — მასწავლებელთა ატესტაცია ათვალისწინებულია ამავე 71-ე მუხლში, რაც შეეხება ხელმძღვანელობის ანუ სკოლის დირექტორების ატესტაციას. ჩვენს რესპუბლიკაში არსებული პრაქტიკა არ მოითხოვს კანონპროექტში ამ დამატების შეტანას.

ამხანაგებო! ჩვენს სესიაზე მოსხენების, თანამოხსენებების და კანონპროექტის განხილვისას დეპუტატებმა ბევრი საინტერესო და საგულისხმო წინადადება წამოაყენეს. გამოითქვა აგრეთვე ზოგიერთი კონკრეტული თხოვნა და მენიშვნა მინისტრთა საბჭოსა და ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიმართ.

მინისტრთა საბჭო ყურადღებით და ყოველმხრივ განიხილავს ყველა ამ წინადადებას და დეპუტატებს აცნობებს მიღებულ ზომებს.

ამხანაგო დეპუტატებო!

კანონის პროექტის განხილვამ ნათლად დაგვანახვა ამ კანონის მიღების დროულობა და აუცილებლობა. ნება მომეცით გამოვთქვა რწმენა, რომ კანონის მიღება ხელს შეუწყობს მომავალი თაობის სწავლა-აღზრდისა და ჩვენს რესპუბლიკაში განათლების საქმის შემდგომ გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების რეგლამენტის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის დეპუტატ შ. ვ. ყარყარაშვილის მოხსენება

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის განსახილველად წარმოდგენილია რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა რეგლამენტის პროექტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით, ნება მომეცით, მოგახსენოთ ამ პროექტის ძირითადი დებულებები.

რეგლამენტის პროექტი განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუშაობის ნორმებს, კერძოდ, ადგენს სესიის დღის წესრიგის დამტკიცებისა და სესიაზე საკითხების განხილვის, თანამმხსენებლების გამოყოფის, სიტყვის მიცემისათვის განცხადებების შეტანის, შეკითხვების, პირადი განცხადებებისა და მოწვეულ დეპუტატთა რეგისტრაციის წესს, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს სხდომების ჩატარების დროსა და ადგილს.

პროექტის პირველ სამ მუხლში მოცემულია უმაღლესი საბჭოს სხდომათა მოწვევის დრო და ადგილი. სხდომების გამართვის თანამიმდევრობა, დეპუტატების რეგისტრაციის წესი

შეტაკებები გრძელდება

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 30 ივნისი. (საკდესი). ლიბანის დედაქალაქში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა. ბეირუთის ბევრ რაიონში და გარეუბნებში წუხელ დროდადრო ცეცხლს უშენდნენ ერთმანეთს მემარჯვენე პარტია კატაიბის ფალანგისტები და პალესტინელები, რომლებიც ლიბანის პროგრესული ძალების რაზმებთან ერთად გამოდიან. მხარეები ერთმანეთს უშენდნენ ნაღმსატყორცნებს, არტილერიისა და რაკეტების ცეცხლს, მთელ ღამეს ქალაქში გაისმოდა ძლიერი აფეთქების ხმა. სხვადასხვა უბანში დანგრეულია მთელი რიგი ძაღლიები, კიოსკოტრეტები და კიოფეები. პრესის ცნობით, გუშინდელი დღის განმავლობაში დაზიანებულია დაახლოებით 40 კაცი და დაჭრილია 200-ზე მეტი. 23 ივნისიდან, როცა განახლდა შეიარაღებული შეტაკებები, დაზიანებულია 95 და დაჭრილია 350-ზე მეტი კაცი.

ღიეს დილით ქუჩებში გრძელდებოდა შეტაკებები. ბეირუთის რადიო იუწყება, რომ ქალაქიდან ყველა გასასვლელი ჩაკეტილია.

პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები ყოველ ღონეს ხმარობენ მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის.

ბეირუთში ჩამოვიდა სირიის საგარეო საქმეთა მინისტრი აბდელ ალიმ ჰაღამი, რათა ხელი შეუწყოს ვითარების ნორმალიზაციას და შუამავლობა გასწიოს მხარეებს შორის.

მოზამბიკის მთავრობა

ᲓᲐᲠ-ᲔᲡ-ᲡᲐᲚᲐᲛᲘ, 30 ივნისი. (საკდესი). ლორენსუ-მარკიშიდან მიღებული ცნობებით, იქ გამოაცხადეს, რომ შედგა მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც მეთაურობს რესპუბლიკისა და მოზამბიკის განთავისუფლების „ფრონტის „ფრელიმოს“ პრეზიდენტი სამორა მაშელი.

ოთაკემ ჩისანო, რომელსაც მოზამბიკის გარდამავალი მთავრობის პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა, საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. ეროვნული თავდაცვის მინისტრად დაინიშნა ალბერტო ჩიპანდე, შინაგან საქმეთა მინისტრად — არმანდუ გებუზა.

მოზამბიკის ახალი მთავრობის თვრამეტივე წევრი ფრელიმოს თვალსაჩინო მოღვაწეა, რომელიც სათავეში ჩაუდგა მოზამბიკელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

კაპიტალის სამყაროში

უმუშევართა არმია იზრდება

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. უმუშევართა რიცხვმა შოტლანდიაში 100 ათას კაცს მიაღწია, რაც შრომისუნარიანი მოსახლეობის 4,5 პროცენტს შეადგენს.

მრეწველობის წამყვან დარგებში—გემთმშენებლობაში, ქვანახშირის მრეწველობაში მცირდება წარმოების მოცულობა. ამას ის მოჰყვა, რომ მრავალი ათასი შოტლანდიელი მუშა უმუშევარი დარჩა და იძულებული გახდა დატოვოს მშობლიური ადგილები, ქვეყნის სხვა რაიონებში ეძებოს სამუშაო.

ᲑᲝᲜ. დასავლეთ გერმანიის უდიდესმა საავტომობილო კონცერნმა „ფოლკსვაგენმა“ ყველა რეკორდს გადაჯარბა ავტომობილმშენებელთა მასობრივ დათხოვნაში. დათხოვნის მთავარი მიზანი ის არის, რომ მშრომელთა ხარჯზე გადალახონ კაპიტალისტური წარმოების საერთო ეკონომიური დაქვეითებით გამოწვეული სიძნელეები.

ამ წლის დამდეგიდან „ფოლკსვაგენის“ ქარხნებმა ქუჩაში გაყარეს თითქმის 12.000 კაცი. უახლოეს თვეებში დაითხოვენ კიდევ რამდენიმე ათას ავტომობილმშენებელს.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. ამერიკის შეერთებულ შტატებში უმუშევრობის სწრაფ ზრდას მოჰყვა ის, რომ მილიონობით ადამიანი ხშირად მიმართავს სახელმწიფო და კერძო საქველმოქმედო ორგანიზაციებს. მაგრამ იმისათვის, რომ მიიღონ ტალონები ყველაზე საჭირო პროდუქტების ფასდაკლებით საყიდლად ან დახმარება უმუშევრობის გამო, მათ თვეობით უხდებათ ლოდინი, ათობით ანკეტის, ცნობისა და დოკუმენტის შევსება, რომლებსაც უნდა დაურთონ დამასიათებელი ყველა წარმოება-დაწესებულებისაგან, სადაც წინათ უმუშავიათ.

ამ ადამიანებს არ ძალუძთ იყიდონ თამბაქო, საპონი და ბევრი სხვა საჭირო საქონელი. დახმარების პროგრამა ამჟამად 18 მილიონამდე კაცს მოიცავს. ამასთან დიდი იმედგაცრუება და აპათია სუფევს უმუშევართა რეგისტრაციის პუნქტებში. მათი არმია, რომელიც 8 მილიონ კაცს აღემატება, სულ უფრო იზრდება.

(საკდესი).

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ...

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

30 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲝᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲢᲣᲒᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

საკვალიფიკაციო სტატისტიკა

1975 ᲬᲚᲘᲡ პირველ კვარტალში ევროპის ეკონომიური გაერთიანების მონაწილე ქვეყნებში გრძელდებოდა სამომხმარებლო საქონლის ფასებისა და უმუშევრობის ზრდა, ნათქვამია მორიგ საერთო ეკონომიურ მიმოხილვაში, რომელიც მოამზადა ევროპის გაერთიანებათა კომისიამ — „საერთო ბაზრის“ აღმასრულებელმა ორგანომ. მიმოხილვაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ 1975 წლის აპრილში მარტთან შედარებით საცალო ფასები „საერთო ბაზარში“ საშუალოდ 1,5 პროცენტით გაიზარდა. წლიური გაანგარიშებით ეს ნიშნავს ფასების ზრდას 15,5 პროცენტით.

გრძელდებოდა უმუშევართა არმიის ზრდა. მიმოხილვის თანახმად, განსაკუთრებით სწრაფი ტემპით 1975 წლის პირველ კვარტალში იგი იხრდებოდა იტალიასში, ბელგიასა და საფრანგეთში.

ევროპის გაერთიანებათა კომისიის მიმოხილვაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ „საერთო ბაზარში“ კვლავ გრძელდება სამრეწველო წარმოების ტემპის შენელება. ამ წლის პირველ კვარტალში მრეწველობის პროდუქციის წარმოება დაჯუფებაში 6 პროცენტით დაბალი იყო, ვიდრე 1974 წლის შესაბამისს პერიოდში.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ...

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. ათასობით პოლონელი ფოტომოყვარული სარგებლობს აპარატებით, რომლებსაც აწერია „გაკეთებულია სსრ კავშირში“. ისინი ხალისით ყიდულობენ „ზენიტს“, „ზორკის“, „სმენას“. მარტო მომდინარე წელს პოლონეთის მაღაზიები მიიღებენ 150 ათას საბჭოთა ფოტოკამერას.

ᲙᲐᲢᲛᲐᲜᲓᲣ. ფაშიზმზე გამარჯვების 30-ე წლისთავის დღესასწაულობის მომწყობი ნეპალის კომიტეტის ინიციატივით აქ გაიმართა სემინარი თემაზე „ფაშიზმზე გამარჯვების გავლენა ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობის განვითარებაზე“. სემინარზე მოხსენებანი გააკეთეს მიწის რეფორმის საქმეთა მინისტრმა დ. მ. შრესტამ, გაზეთ „კომონერის“ რედაქტორმა და სხვებმა.

ᲠᲘᲝ-ᲓᲔ ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝ. ბრაზილიის ქალაქ სან-ლუისი ამას წინათ გადაიქცა სამხედრო მანევრების მოწყობის ადგილად, რომლებშიც მონაწილეობდნენ არმიის ქვედანაყოფები და პოლიციები. ამუშავებდნენ დემონსტრანტების გარეკვისა და ეგრეთწოდებული ქალაქის პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებს.

ᲙᲣᲐᲚᲐ-ᲚᲣᲛᲞᲣᲠᲘ. მალარია კვლავ რჩება ყველაზე გავრცელებული დაავადება და „ნოშერი პირველი მკვლელი“ მალაიზიის სოფლის რაიონებში. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემებით, მარტო დასავლეთ მალაიზიაში ყოველწლიურად ოფიციალურად აღრიცხავენ მალარიით დაავადების 200 ათას შემთხვევას. ფაქტიურად ეს ციფრი, პრესის აზრით, გაცილებით უფრო დიდი უნდა იყოს.

ᲞᲠᲐᲰᲐ (მწვანე კონცხის კუნძულები). ღიეს მწვანე კონცხის კუნძულებზე პირველად არქიპელაგის ისტორიაში გაიმართება სახალხოდამფუძნებელი ასამბლეის არჩევნები. არჩევნები ეწყობა გვინეასა და მწვანე კონცხის კუნძულების აფრიკელთა დამოუკიდებლობის პარტიის და პორტუგალიის მთავრობის 1974 წლის 18 დეკემბრის შეთანხმების შესაბამისად.

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ...

ᲓᲦᲡᲐᲐᲪᲘᲡ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲪᲘᲠᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲘᲗ

ᲒᲣᲨᲘᲜ, 30 ივნისს, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მცირე საკონცერტო დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის დოსაააფის მეათე ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

სრულ 10 საათზე მუშაობას იწყებს სატირაჟო კომისია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. ლაბახუას თავმჯდომარეობით.

— თბილისს ტირაჟში, — ამბობს სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ე. კუზნეცოვი, — გათამაშდა 7.200.000 ნივთმოგება 20.000.000 მანეთი საეთო თანხისა.

მოგებათა შორის არის 160 ავტომობილი „ვოლგა გაზ-24“, 320 „მოსკვიჩ-412“, 320 „ზაპოროჟეცი“, 3680 მოტოციკლი, აგრეთვე მოპედები, ველოსიპედები, ნავები, მაგნიტოფონები, ტრანზისტორები, ეკოტი და კინოკამერები და ა. შ.

მოგებათა ტირაჟის ჩასატარებლად იყენებენ 4 სატირაჟო ბორბალს და 4 სახის ბილეთებს.

პირველ ბორბალში მოთავსებულია 450 ბილეთი, რომლებზეც აღნიშნულია მოგებული საგნები ან ფულადი თანხა.

მეორე და მესამე ბორბლიდან თითო ბილეთის ამოღებით და ბილეთებზე აღნიშნული რიცხვების ერთმანეთში შედგება სერიის ნომერი, რომელსაც მოგება ხვდა. მოგებას ამთავრებს მეოთხე ბორბალი, რომლიდანაც ამოიღებენ მოგებული ბილეთის ნომერს.

ასეთია ტირაჟის ტექნიკა.

მაგრამ დავბრუნდეთ სახელმწიფო ფილარმონიის მცირე დარბაზში.

აი სცენაზე გამოდიან ტირაჟის ნორჩი მონაწილეები — კოჯრის № 1 საბავშვო სახლის აღსაზრდელები, ეიფორ ტანსაცმელში გამოწყობილნი. მათ სატირაჟო ბორბლებიდან ამოაქვთ ბედნიერი ბილეთები, რომლებიც გადაეცემა სატირაჟო კომისიას. ერთმეორის მიყოლებით ხდება მოგებათა გამამაშვება. ბედნიერ ნომრებს ხვდება საათები, ფოტოაპარატები, მოტოციკლები, ველოსიპედები, მაგნიტოფონები, ავტომობილები და ფულადი მოგებანი...

ყველაზე ბედნიერი გამოდგა ექვსი წლის მალხაზ თედიაშვილის ხელი. მის მიერ პირველი ბორბლიდან ამოღებულ ვაზნაში აღმოჩნდა ლატარიის ყველაზე ბედნიერი და ყველაზე ძვირფასი მოგება — ავტომობილი „ვოლგა-გაზ-24“, რომელიც ხვდა 104394 სერიის ნომერ 041-ს.

Ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲔ.

• • •



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: სსრ კავშირის დოსაააფის მეათე ლატარიის ტირაჟის კომისია — ზემოთ; ასე გათამაშდა ყველაზე დიდი მოგება — ავტომობილი „ვოლგა გაზ-24“ — მარჯვნივ; სატირაჟო ბორბლთან ტირაჟის ყველაზე ნორჩი მონაწილე — მარცხნივ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲘᲒᲘᲡ?

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ზაფხულის შუაწელია. ჩვეულებრივ ამ თვეში პაპანაქება სიცხეები იცის. როგორი იქნება იგი წელს?

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ. ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია დაბლობ რაიონებში 23-24, მთა რაიონებში 20-22, მაღალმთიან რაიონებში 15-16 გრადუსის ფარგლებში, რაც მრავალწლიურ ნორმაზე მაღალია ნახევარი, ერთნახევარი გრადუსით.

ნალექების თვიური ჯამი სამხრეთ სანაპირო რაიონებში უნდა იქნეს 200-260 მმ, დანარჩენ რაიონებში 100-180 მმ (მთიან რაიონებში ალაგ-ალაგ 60-100 მმ), რაც ნორმაზე მეტია. ალაგ-ალაგ კი ნორმის ფარგლებშია.

1-10 ივლისი. დეკადის შუა ნაწილში ძოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ წვიმა და ელჭექი, მთა რაიონებში ზოგან ნისლი; დეკადის დანარჩენ დროს უმეტესად მცირეღრუბლიანი, მშრალი ამინდი უნდა იყოს. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით—15-20, დღისით (დეკადის შუა ნაწილში) — 21-26, დანარჩენ დროს სანაპირო რაიონებში 24-29, შიდა დაბლობ რაიონებში 29-34 იქნება.

11-20 ივლისი— დეკადის შუა ნაწილში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი მოსალოდნელი. მთა რაიონებში — ალაგ-ალაგ ნისლი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 18-23, დღისით 25-30, მთა რაიონებში ღამით 14-19, დღისით 27-32 გრადუსი იქნება.



21-31 ივლისი. ალაგ-ალაგ მოსალოდნელია წვიმა და ელჭექი. უმეტესად დაბლობ რაიონებში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში დღისით დეკადის შუა ნაწილში 32-37, დანარჩენ დროს კი 25-30 გრადუსი იქნება.

ᲐᲚᲐᲛᲘᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ. ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია 22-27, მთა რაიონებში 19-22, მაღალმთიან რაიონებში 14-18 გრადუსი, რაც მრავალწლიურ ნორმაზე მაღალია 2-2-ნახევარი, ხოლო მთებში ალაგ-ალაგ ერთნახევარი-ორი გრადუსით.

ნალექების თვიური ჯამი დაბლობ რაიონებში ნაკლებია, 25 მმ-ზე ნაკლები, ალაგ-ალაგ კი 25-50 მმ (ნორმაზე ნაკლები); მთებში 50-80 მმ, ხოლო ზოგან 30-40 მმ, რაც ნორმაზე ნაკლებია ან ნორმის ფარგლებშია.

1-10 ივლისი. დეკადის შუა ნაწილში მოსალოდნელია ზოგან წვიმა და ელჭექი, მაღალმთიან რაიონებში კი ალაგ-ალაგ სეტყვა. ტემპერატურა დეკადის შუა ნაწილში მოსალოდნელია დღისით 21-26 მთა რაიონებში — 18-23 გრადუსი. დეკადის დანარჩენ დროს ვვარაუდობთ უმეტესად მცირეღრუბლიან, მშრალ ამინდს. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია დღისით 29-34 გრადუსი.

11-20 ივლისი. დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია უმეტესად მცირეღრუბლიანი, მშრალი ამინდი, მთა რაიონებში კი ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან — ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, ზოგან კი სეტყვა. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში დღისით 32-37, მთა რაიონებში 28-33 გრადუსი იქნება.

21-31 ივლისი. კახეთში მოსალოდნელია უმეტესად მცირეღრუბლიანი, მშრალი ამინდი, დანარჩენ რაიონებში კი ცვალებადი მოღრუბლულობა. დეკადის დასაწყისში — ალაგ-ალაგ წვიმა და ელჭექი, უმეტესად სამხრეთ რაიონებში. ტემპერატურა კახეთში დეკადის განმავლობაში დღისით 34-39 იქნება, ხოლო დეკადის დასაწყისში ქართლის ვაკეში 28-31, მთა რაიონებში დღისით 22-27 გრადუსი. დეკადის დანარჩენ დროს ქართლის ვაკეში ვარცხლის წყლის სეტი დღისით 33-38, მთა რაიონებში 30-35 გრადუსს უზეენებს.

Ქ. ᲯᲔᲚᲘᲫᲔ.

თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი ინჟინერ-სინოპტიკოსი.

ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝ—ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲡ

VI СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР 1975

ᲙᲘᲛᲨᲘ ერთდროულად სპარტაკიადის ორ ტურნირს ქონდა ფინიში. ეს იყო ხელბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების ორეტაპიანი (წინასწარი, ფინალური) შეჯიბრება მედლებისა და ქულებისათვის.

უკანასკნელი დღისათვის ზოგი რამ გარკვეული იყო, ზოგიც — ბურუსით მოცული. მას შემდეგ, რაც ლიდერებმა — უკრაინის ქალთა და მოსკოვის ვაჟთა გუნდებმა უკანასკნელისწინა შეხვედრებში დაამარცხეს ლიტვისა (20:12) და რსფსრ-ის (27:26) გუნდები, ჩემპიონობის საკითხი ძირითადად უკვე გადაწყვეტილი იყო.

აი როგორ დამთავრდა კვირის მატჩები: ვაჟთა გუნდები — საქართველო-მოსკოვი — 35:30, მოლდავეთი-ბელორუსია — 25:23, რსფსრ-უკრაინა — 19:29; ქალთა გუნდები — მოსკოვი-უზბეკეთი — 17:17, ლიტვა-რსფსრ — 19:19, აზერბაიჯანი-უკრაინა — 7:17.

ვაჟთა კოლექტივებს შორის მოსკოვის ნაკრები მიუხედავად უკანასკნელი მატჩის წაგებისა სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. ვერცხლის მედალი მოიპოვეს ტურნირის მასპინძლებმა — უკრაინელებმა, ბრინჯაოსი — საქართველოს ხელბურთელებმა.

მესამე საპრიზო ადგილი ჩვენი ხელბურთელების დიდი გამარჯვებაა. ძირითადად ახალგაზრდულმა, მონოლითურმა კოლექტივმა, ახალგაზრდა მწვრთნელებთან ი. ფხაკაძესა და ა. ელაშვილთან, აგრეთვე ჩვენი სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელ ჯ. ბაგრატიონთან ერთად შეძლო ესოდენ ძლიერი შემადგენლობის ტურნირში თავი გამოეჩინა, როგორც ჩინებულ და დისციპლინიან ნებელებს. გასულ სპარტაკიადასთან შედარებით ბევრი ადგილი დაიკავა.

ჩვენმა ხელბურთელებმა საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივს 54 ქულა შესძინეს.

გუშინ საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ჩვენი ხელბურთელები დააჯილდოვა საპატიო სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით, ჯ. ბაგრატიონი საპატიო სიგელით, ხოლო გუნდის უფროს მწვრთნელს ი. ფხაკაძეს და მწვრთნელ ა. ელაშვილს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

მომდევნო ხუთი ადგილი, რომლებიც ქულებს იძლევა, ასე განაწილდა — მოლდავეთი, ბელორუსია, რსფსრ, ლენინგრადი, ლიტვა.

ტურნირის მასპინძლები — უკრაინელი ხელბურთელი ქალები თავიდანვე ფავორიტებად ითვლებოდნენ და ჩემპიონობაც საკსებით დამსახურებულად მათ მოიპოვეს. ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა რსფსრ-ის კოლექტივი, ბრინჯაოსი—აზერბაიჯანის ნაკრები. მომდევნო ხუთეული ასე გამოიყურება — მოსკოვი, ლიტვა, უზბეკეთი, მოლდავეთი, ლენინგრადი. საქართველოს ქალთა გუნდმა, რომლის სამმა წამყვანმა მოთამაშემ ტრავმა მიიღო, მე-11 ადგილი დაიკავა.

Თ. ᲒᲐᲒᲔᲚᲘᲐ.

ᲤᲘᲜᲘᲨᲘᲪ, ᲡᲢᲐᲠᲢᲘᲪ

ᲙᲘᲛᲨᲘ ᲑᲐᲭᲘᲨᲘ დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა ტურნირი.

ჩემპიონობის საკითხი გადაწყვიტა უკრაინისა და აზერბაიჯანის ნაკრებთა მატჩმა. ეს ტიტული პირველად უკრაინის გუნდმა მოიპოვა, რომელმაც დაამარცხა მეტოქე 3:1 (15:13, 11:15, 15:5, 15:8). ასევე, პირველად გახდა სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი რსფსრ-ის კოლექტივი, რომელმაც მძაფრ ბრძოლაში სძლია ბელორუსიის გუნდს — 3:2, ტურნირი თავიანთ შესაძლებლობაზე დაბლა ჩაატარეს მოსკოველებმა. უკანასკნელ მატჩში მათ მოუგეს უზბეკეთის გუნდს 3:0 და ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდნენ.

ხუთი მომდევნო ადგილი ასე განაწილდა — აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ბელორუსია, ლენინგრადი და ლატვია. საქართველოს გუნდმა მე-12 ადგილი დაიკავა.

თუ ბატონი ფრენბურთელ ქალებს ფინიში ჰქონდათ, ვაჟთა გუნდებმა სტარტი ასლახან აიღეს მოსკოვში. კვირის მატჩების შედეგები ასეთია — ლატვია-ესტონეთი — 3:2, მოსკოვი-ტაჯიკეთი — 3:0, უკრაინა-მოლდავეთი — 3:0, უზბეკეთი-თურქმენეთი — 3:0, ყირგიზეთი-სომხეთი — 3:0.

ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ, ᲥᲣᲚᲔᲑᲘ, ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

	11 სასკოლო ზონა	ხელბურთი (ბიჭები).	ხელბურთი (ვაჟები).	ფრენბურთი (ქალები).	ათვრსნაბა.	სულ 15 სახეობაში.
1. რსფსრ	4.995	72	30	72	112	5.281
2. უკრაინა	4.271	90	72	90	134	4.657
3. მოსკოვი	3.974	42	90	54	180	4.340
4. ლენინგრადი	3.164,5	18	24	24	24	3.254,5
5. ბელორუსია	2.619	—	36	30	28	2.713
6. ყაზახეთი	1.767	—	—	—	24	1.791
7. საქართველო	1.596	—	54	—	28	1.678
8. უზბეკეთი	1.451	30	—	36	—	1.517
9. ლატვია	1.389	—	—	18	80	1.487
10. ლიტვა	1.364,5	36	18	—	42	1.460,5
11. მოლდავეთი	1.172	24	42	—	28	1.266
12. აზერბაიჯანი	1.026	54	—	42	20	1.142
13. ესტონეთი	969	—	—	—	102	1.071
14. სომხეთი	952	—	—	—	52	1.004
15. ყირგიზეთი	851	—	—	—	—	851
16. ტაჯიკეთი	781,5	—	—	—	—	781,5
17. თურქმენეთი	480	—	—	—	—	480

ᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲨᲘ

ᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ყურეში ძლიერი ღელვის გამო მსაჯთა კოლეგია იძულებული იყო 7-ის ნაცვლად ოფროსანთა 6 რბოლით დაკმაყოფილებულიყო.

ჩამოვთვლით ეკიპაჟების კაპიტნებს, რომლებიც უძლიერესად იქნენ აღიარებული: „სოლნეჩნოთ“ — ა. ჩუჩელოვი (ესტონეთი), „ტორნადოთი“ — ვ. ვასილიევი (მოსკოვი), „ტემპესტით“ — ვ. მანკინი (უკრაინა), „მფრინავი ჰოლანდიელით“ — ვ. ლეონტიევი (მოსკოვი), „470“-ით — ვ. იგნატენკო (მოსკოვი), „ფინით“ — ა. ბალაშოვი (მოსკოვი).

საქართველოს აფრონსებიდან ქულები მოგვაცეს სოხუმელმა ა. ახუბამ და თბილისელმა თ. ზოიძემ. მათ „ტორნადოთი“ და „ტემპესტით“ ასპარეზობაში მეოთხე ადგილები დაიკავეს.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲛᲬᲕᲠᲚᲘᲚᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲘᲪᲮᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲖᲔ

ᲕᲘᲔᲗᲐᲛᲘᲡ მემორიალში წარმატებითი გამოსვლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა ერთდროული თამაშის სეანსები გაართა იუგოსლავიის რამდენიმე ქალაქში, სადაც მას გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი გამოვა რიგაში, სსრ კავშირის ხალხთა მე-6 სპარტაკიადაზე.

ა. კარპოვს მრავალ ქვეყანაში იწვევენ. მსოფლიოს ჩემპიონობაზე ჩაუტარებელი მატჩის ერთ-ერთმა ყოფილმა პრეტენდენტმა — მილანის საჭადრაკო კლუბმა გამოაცხადა, რომ გაიმართება დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ა. კარპოვთან ერთად მიწვეული არიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ტ. პეტროსიანი და მ. ტალი, აგრეთვე ს. გლიგორიჩი და ლ. ლიუბოეევიჩი (იუგოსლავია), ლ. პორტიში (უნგრეთი), ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), რ. ჰეუბნერი (გერ), ბ. ლარსენი (დანია), ს. მარიოტი (იტალია) და უ. ანდერსონი (შვეიცარია). ტურნირი 18 ავგისტოს დაიწყება მილანის სასტუმრო „ლეონარდო და ვინჩაში“.

მას შემდეგ, როცა დიდოსტატები წრიული სისტემით ითამაშებენ ერთმანეთს შორის, პირველი ოთხეული გაიათამაშებს დამატებითს მატჩ-ტურნირს. (საკდესი).

ᲛᲔᲢᲐᲚ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲝᲠᲘ ᲥᲣᲚᲐ

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — „ᲓᲜᲔᲞᲠᲘᲜᲔᲗᲘ“ (დნეპრ. ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ) — 2:0

29 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ (თბილისი) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — 1:0

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხიზანიშვილი, ქორიძე, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, გუცაევი, ყიფიანი, წერეთელი (გავაშელი).

„ᲓᲜᲔᲞᲠᲘ“ — სობეცკი, კრავჩუკი, ნაიდა, ბოგდანოვი, პილიპჩუკი (ვასილენკო), სოლოვიოვი, შნეიდერმანი, იაკოვლევი, ხრისტიანი, რომანიუკი, სემეონოვი (პორკუიანი).

ᲘᲣᲖᲘᲐᲜᲘ სამეიდროვეა ახლა გათამაშების ცხრილში. მხოლოდ ოთხი ქულა ჰყოფს მესამე და ბოლოსწინა ადგილებზე მყოფ გუნდებს. დაახლოებით ასეთივე სურათი იყო კვირას მოასპარეზე თბილისს „დინამო სა“ და „დნეპრს“. შორის — ქართველი ფეხბურთელები მერვე ადგილზე იყვნენ და მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩებოდნენ მასზე ხუთი საფეხურით მაღლა მდგომ დნეპროპეტროვსკელებს.

ამიტომ, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ დინამოელები მხოლოდ გამარჯვებისათვის იბრძოლებდნენ.

ასეც მოხდა: თბილისელებმა თითო ტაიმში თითო ბურთი გაიტანეს — (21-ე წუთზე ყიფიანმა და 53-ე წუთზე ბ. მაჩაიძემ) და მეტად საჭირო ორი ქულა მოიპოვეს.

Ო. ᲜᲝᲜᲨᲐᲫᲔ.

ᲔᲥᲕᲡᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის ექვსე ექვსი შეხვედრა გაიმართა კვირას ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე. მოგვაქვს ამათ შედეგები:

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ Კ. — „ᲙᲐᲖᲐᲩᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘ“ — 0:1

„ᲩᲔᲠᲜᲝᲛᲝᲠᲪᲔᲠᲘ“ — „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ — 1:0

„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ — „ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ“ — 1:1

„ᲨᲐᲮᲢᲘᲝᲠᲘ“ — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ მ. — 1:0

„ᲖᲔᲜᲘᲗᲘ“ — „ᲡᲙᲐ“ — 2:1

„ᲖᲐᲠᲘᲐ“ — „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ — 1:0

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ნაკრებმა გუნდმა, რომელიც ტურნეს ატარებს ამშ-ი, სან-ფრანცისკოში მოუგო ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდს — 3:1. ორი ბურთი გაიტანა შარმახმა, ერთი — ლატომ.

ᲘᲣᲖᲝᲠᲚᲐᲕᲘᲡ ჩემპიონობა ზედიზედ მეორედ მოიპოვა სპლიტის „ადიდუკმა“.

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ თასის ფინალში „ფიორენტინამ“ ანგარიშით 3:2 მოუგო „მილანს“.

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ქუთაისის „ტორპედომ“ გამართა ყაზანში ადგილობრივ „რუბინთან“. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს — 1:1.

აი დანარჩენი შედეგები უმაღლესი ლიგის საგზურების პრეტენდენტების მონაწილეობით: მინსკის „დინამო“— ბაქოს „ნეფტჩი“ — 5:1, კიშინიოვის „ნისტრუ“—ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკი“ — 1:0; სიმფეროპოლის „ტავრია“ — ხარკოვის „მეტალისტი“ — 2:3; იაროსლავლის „შინნიკი“ — ალმა-ათის „კირიტაბი“ — 0:0; კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ — ფრუ